ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

გვ.5

დეპუტატი ქეთევან ხარაიძე მოსკოვის სასამართლომ ციხეში 4 წლით გაუშვა

13 დეკემბრიდან

საოჯახო სამზარეულო
225 რეცეპტი

ხორცის კერძები



ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

სამშაბათი, 13 დეკემბერი, 2022 | №245 (9023) | ფასი: 80 თეთრი

„სააკაშვილი მოგვწონს თუ არა, მას სიცოცხლის უფლება აქვს“

გვ.2



კახა ქემოკლიძე: „სააკაშვილის პროცესი იმდენად არის შეზრდილი „ქართული ოცნების“ მმართველობასთან, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ მიიღებს“

„100 ათასი ქართველი 2021 წელს გავიდა ქვეყნიდან, 38%-ით მეტი, ვიდრე 2020 წელს იყო გასული. ამავდროულად, 112 ათასი რუსი შემოვიდა და დამაგრდა. ესენი არ არიან ჩვეულებრივი ტურისტები. 112 ათასი რუსი აქ სოციალურ ოკუპაციას ახდენს“

„რუსეთი საბჭოთა კავშირის გზას დაადგა“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „საიდუმლო მოლაპარაკებებს რუსეთთან ვერავინ ვერ გამართავს“



გვ.4

„ჩემთვის ნაცი ნაცად რჩება“

პეტრე მამრაძე: „საერთაშორისო ორგანიზაციებმა, უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, საელჩოებმა უნდა ნახონ, სააკაშვილი როგორ პირობებში იმყოფება“

„პუტინი პროვოკაციებს მოაწყობს“



გვ.4

პრემიერი: „თავდაცვის სამინისტრო წელიწადში დაახლოებით 10.000 წვევამდელს მოამზადებს“

გვ.2

გვ.3

ირაკლი ღარიბაშვილი: „კორუფციის კონტროლის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მე-40 ადგილზე გავიდა, ევროპაში – 21-ეზე და კონტინენტური ევროპის საუკეთესო ოცეულში – მე-18-ეზე“

პრემიერი: „ჩვენი გადაწყვეტილებით, ანაკლიის პორტი აშენდება სახელმწიფოს თანამონაწილეობით, სადაც 51%-ის მფლობელი სახელმწიფო იქნება“ გვ.5

5 კორონავირუსის დიაგნოზით გარდაცვლილი 20 წლის ფეხბურთელის ოჯახი კლინიკის უფროსი მეედიის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს

5 აჭარაში რძალი მამამთილმა მოკლა

6 რამ შეაშფოთა სტოლტენბერგი?!

6 ქალმა მოღალატე ბოიფრენდზე შური მამამისისგან დაფეხმძიმებით იძია

1993230720223

„სააკაშვილი მოგვწონს თუ არა, მას სიცოცხლის უფლება აქვს“

კახა ქემოკლიძე: „სააკაშვილის პროცესი იმდენად არის შეზრდილი „ქართული ოცნების“ მმართველობასთან, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ვერ მიიღებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „საქართველოსთვის“ გენერალური მდივანი კახა ქემოკლიძე პასუხობს.

– ბატონო კახა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებს? მიხეილ სააკაშვილის გადადებული პროცესი ხვალ გაიმართება. ექიმები ამბობენ, რომ სააკაშვილი მძიმედ არის, თუმცა ხელისუფლება არ ფიქრობს მის სამკურნალოდ გაშვებაზე. რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

– „ქართული ოცნება“ გარკვეულწილად სტრატეგიას არ ცვლის ყოფილ პრეზიდენტ სააკაშვილთან დაკავშირებით. მის ფაქტორს ქართული შიდა პოლიტიკის ტურბულენციისთვის აქტიურად იყენებენ. მათი მხრიდან სააკაშვილის ისტორიის ინსტუმენტალიზება მოხდა. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენი პოზიცია მკაფიოა და არ შეცვლილა.

ნებისმიერი რამ, რაც უკავშირდება პრეზიდენტ სააკაშვილის ჯანმრთელობას, სიცოცხლესა და სხვა პრობლემებს, ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. აბსოლუტურად არარელევანტურია და არა აქვს მნიშვნელობა, ვის რა დონეზე მოსწონს სააკაშვილი, უყვარს თუ არ უყვარს. ჩვენ ძალიან კრიტიკულად ვართ განწყობილი პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ გვაფიქრებინებს იმას, რომ ვინმეს აქვს უფლება, მას სიცოცხლის უფლება წაართვას. სახელმწიფოს ვალდებულებაა, მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე იქნეს დაცული იმ დაწესებულებაში, სადაც არის განთავსებული. ეს იქნება ციხე თუ საავადმყოფო, მნიშვნელობა არა აქვს.

სახელმწიფო, უბრალოდ, იმდენად უუნარო და არაკომპეტენტურია, რომ სააკაშვილის საკითხი ხელიდან გაექცა.

– ხელიდან გაქცევაში რას გულისხმობთ?

– სტატია სტატიაზე როცა ქვეყნდება, რომელიც პირდაპირ ქადაგებს იმას, რომ თითქოს ყოფილი პრეზიდენტის ორგანიზმი მოწამლულია სხვადასხვა ნივთიერებით, რომელიც „ქართულ ოცნებას“ კი არა, მთლიანად საქართველოსა და მის რეპუტაციას აზიანებს, ეს უკვე, ჩათვალეთ, რომ სწორედაც ამ არაკომპეტენტურობის პირდაპირი გამოვლინებაა. პრაქტიკულად, რეალური შედეგია ველზე. ეს კი სახელმწიფოს აზიანებს.

„ქართული ოცნება“ სწორედ ამ სპირალშია შესული, საიდანაც, ერთი მხრივ, არც გამოსვლა შეუძლია და, მეორე მხრივ, რასაც აკეთებს, ამით საკუთარ თავსაც აზიანებს და სააკაშვილსაც.

– ვისმენთ შეფასებებს, რომ სასამართლო დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს და ყველაფერი ივანიშვილის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, გაუშვებენ თუ მაქსიმალურად გაუხანგრძლივებენ ციხეში ყოფნის პერიოდს.

– არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვის რა დამოკიდებულება აქვს მიხეილ სააკაშვილისა და მისი პოლიტიკური წარსულისადმი. ყველაფრის მიუხედავად, ნებისმიერ დონეზე მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა უნდა იქნეს დაცული და ეს არის აქსიომა. ეს, უბრალოდ, არც განიხილება. რაც შეეხება მოსამართლის გადაწყვეტილებას, მე არა მაქვს ილუზია, რომ მოსამართლე გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად მიიღებს. სააკაშვილის პროცესი შინაარსობრივად, ჩემი აზრით, უკვე იმდენად პოლიტიზებულია და იმდენად არის შეზრდილი „ქართული ოცნების“ მმართველობასთან, რომ მოსამართლე დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას, ჩემი სუბიექტური აზრით, ვერ მიიღებს.

– ანუ არ ელით, რომ ხვალინდელ პროცესზე რამე შეიცვლება?

– არა მგონია, ამ ეტაპზე რამე შეიცვალოს. ისინი, დიდი ალბათობით, ამ პროცესს გაწელავენ, მაქსიმალურად გააჯანჯლებენ, ყოველ შემთხვევაში, იმ კრიტიკულ წერტილამდე, სანამ ყოფილი პრეზიდენტის სიცოცხლეს რამე არ დაემუქრება. ისინი სააკაშვილს აკვირდებიან არა მარტო სამედიცინო კუთხიდან, არამედ სხვადასხვა განზომილებიდან და, შესაბამისად, ამ იმპულსებსა და პულსაციას გრძნობენ, ეს კრიტიკული დღე როდის შეიძლება დადგეს. რა თქმა უნდა, ეს პროცესი სარისკოა. ეს არ არის მარტივად დასამენეჯმენტებელი და სამართავი პროცესი. აქ გაუთვალისწინებელი ფაქტორიც შეიძლება დაგვიფიქსირდეს, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს სწრაფ კრიტიკულ წერტილამდე, რომლიდანაც „ქართული ოცნება“ შეიძლება ველარ გამოძვრეს.

– ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო იმაზე საუბარი, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი გაწირეს, მოტყუებით ჩამოიყვანეს და ასე შემდეგ. ამ ყველაფერზე თქვენ რას ფიქრობთ?

– ამ სიტუაციაში, ვფიქრობ, რომ ყველაზე ობიექტური და საღი შეფასება გააკეთა თავად სააკაშვილის ვაჟმა, ედუარდ სააკაშვილმა, რასაც მე ვიზიარებ. ის ამბობდა, რომ მისი მამა ორივე მხრიდან იყო შეცდომაში შეყვანილი. ერთი მხრივ, აქაური გარემოცვა მას ილუზორულ გარემოს უხატავდა, რომ იქნებოდა მღელვარება, რომელიც რევოლუციაში გადაიზრდებოდა. მას თავადაც უნდოდა დაეჯერებინა, რომ ის, რასაც ეუბნებოდნენ აქაური „მეგობრები“, ნამდვილად სიმართლე იყო და სწორედ ამან დააშვებინა ეს სტრატეგიული შეცდომა.

> „100 ათასი ქართველი 2021 წელს გავიდა ქვეყნიდან, 38%-ით მეტი, ვიდრე 2020 წელს იყო გასული. ამავდროულად, 112 ათასი რუსი შემოვიდა და დამაგრდა. ესენი არ არიან ჩვეულებრივი ტურისტები. 112 ათასი რუსი აქ სოციალურ ოკუპაციას ახდენს“

– რას იტყვით ხელისუფლების პოლიტიკაზე? დღეს კიდევ ახალი ფრონტი გახსნეს უკრაინის მიმართულებით და ბინძური კამპანია წამოიწყეს ქართველი მებრძოლების მისამართით. მათ კიკუებს, ფულზე გაყიდულებს უწოდებენ და მოქალაქეობის ჩამორთმევითაც კი ემუქრებიან.

– ძალიან მძიმე შეფასება მაქვს ამასთან დაკავშირებით. უზომოდ ვბრაზდები ხოლმე, როდესაც მსგავსი ტიპის განცხადებებს ვისმენ. ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან მიუღებელია. ეს არის ამორალურობის პიკი. ეს ადამიანები, რომლებიც უკრაინის ფრონტზე იბრძვიან, ძალიან დასაფასებლები არიან. აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, ვის რა პოლიტიკური გემოვნება აქვს. ეს ადამიანები საქართველოსთვის იბრძოდნენ.

– ირაკლი კობახიძე უკმაყოფილოა, როდესაც ისმენს, რომ საქართველოს ომიცაა უკრაინის ომი. სწორედ ეს არის მეორე ფრონტის გახსნის მცდელობაო.

– ეს ადამიანები საქართველოში საქართველოსთვის იბრძოდნენ. ისინი ყოფილი სამხედროები, ყოფილი ძალოვნები არიან უმეტესწილად, რომლებსაც ყველა ომი აქვთ მოვლილი. მაშინ როდესაც ამ ბიჭებმა და გოგოებმა საკუთარი ქვეყნის მტერი დაინახეს უკრაინის მიწაზე, რომელიც შენი ძმადნაფიცი, შენი მეგობარი და ჭეშმარიტი მართლმადიდებელია. მათ ჩათვალეს, რომ იქ გამარჯვება საქართველოს გამარჯვებასაც ნიშნავდა. სწორედ ამ მოტივით წავიდნენ იქ და ჩაეწერნენ უკრაინის რეგულარულ არმიაში. ნებისმიერი გადაბრუნებული განცხადება ამ ბიჭებსა და გოგოებზე, უბრალოდ, ამორალურია. „ქართული ოცნების“ ზღვარი ამორალურობაზე წაშლილია. ეს არის მათი ამორალურობის პიკი და დასასრულის დასაწყისი. საქართველოში მოსახლეობა შეიძლება ბევრ რამეს პატიობდეს, ბევრს ითმენდეს – უფულობას, შიმშილს, გაჭირვებას, მაგრამ უღირსობას ეს ხალხი არასოდეს არ აიტანს! 2024 წლის არჩევნებზე ხალხი საკუთარ სიტყვას იტყვის.

– ბატონო კახა, ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთთან სავიზო რეჟიმის გამკაცრებას ითხოვს და ამ ფონზე კახა კალაძე სულაც არ გამორიცხავს, რომ რუსეთთან ფრენები აღდგეს. უფრო ამარტივებენ ურთიერთობებს რუსეთთან? რა პოლიტიკაა ეს, რას ცდილობს ხელისუფლება?

– ეს პოლიტიკა არ არის, პირიქით, რუსეთთან პოლიტიკის არქონა უფროა. „ქართული ოცნება“ დღეს ისეთ სპირალსა და ჩიხშია შესული, რომ იქიდან გამოსვლას ველარ ბედავს.

– რას გულისხმობთ?

– მათ რუსეთთან ურთიერთობის გამკაცრება არ შეუძლიათ, რადგან ეკონომიკურად, ფაქტობრივად, მათ ჩაებნენ. ნებისმიერი განცხადება, ნებისმიერი მკაცრი ტიპის ქმედება, რომელიც საქართველოს ინტერესებს მოემსახურება და რომელმაც შეიძლება გაღიზიანება გამოიწვიოს რუსეთში, გამოიწვევს ამ ეკონომიკური ინსტრუმენტების ნეგატიურ კონტექსტში მოქმედებას მოსკოვის მხრიდან.

„ქართული ოცნება“ გახდა საკუთარი განცხადებების, ამავდროულად, პოლიტიკის არქონის ტყვე. ახლა ისეთ სპირალში არიან შესული, რომელსაც ერთი მიმართულება აქვს და, რასაც რუსები გააკეთებენ, იძულებული არიან, თავი დაუქნიონ. დღეს სრულიად პლანეტა რუსეთის წინააღმდეგ არის, ისინიც კი, ვინც მათ მიმართ ლოიალურები იყვნენ. ამ დროს კი ჩვენი ხელისუფლება საქართველოს ექაჩება რუსეთისკენ. ამას ახლა რა ჰქვია? ამას ჰქვია სახელმწიფოსა და ეროვნული ინტერესების ღალატი! აი, სიტყვა ღალატი სად უნდა გამოიყენებოდეს. ეს არის უდიდესი ფუნდამენტური შეცდომა, ეს არის დანაშაულზე მეტი, რასაც „ქართული ოცნება“ უშვებს. თქვენ წარმოიდგინეთ, რა ხდება, 100 ათასი ქართველი 2021 წელს გავიდა ქვეყნიდან, 38%-ით მეტი, ვიდრე 2020 წელს იყო გასული. ამავდროულად, 112 ათასი რუსი შემოვიდა და დამაგრდა აქ. ესენი არ არიან ჩვეულებრივი ტურისტები, რომლებიც შემოვიდნენ, რესტორანში ფული დახარჯეს და ერთი კვირის შემდეგ წავიდნენ. 112 ათასი რუსი აქ შენს სოციალურ ოკუპაციას ახდენს. ეს არის უკვე უაარაღოდ ქვეყნის ჩაბარება რუსეთისთვის. სხვას კი არაფერს გვთხოვენ ისინი – მათდამი ლოიალობას, სრულ მორჩილებას, ეკონომიკურ მორჩილებას და არა მათ კრიტიკას.

– მიდიან ქართველები და მათ ადგილს იკავებენ რუსები. დემოგრაფიული სურათი საგრძნობლად იცვლება.

– ეს არის ტრაგიკული გეოპოლიტიკური მოცემულობა, სადამდეც „ქართული ოცნების“ უგუნურობამ და არაკომპეტენტურობამ მიგვიყვანა. ქვეყანა იმართება ღრმა კონსპირაციების საფუძველზე. საკუთარი აზრის გამაგრებაც კი არ შეუძლიათ, როდესაც ივანიშვილთან კამათში შედიან.

პრემიერი: „თავდაცვის სამინისტრო წელიწადში დაახლოებით 10.000 წვევამდელს მოამზადებს“

– ვფიქრობ, ქვეყანაში არ მოიძებნება პატრიოტი, რომელიც ამ საკითხზე არ წუხს, არ განიცდის და არ ნერვიულობს. ეს იყო ე.წ. აი ეს მავნებლური, „გირჩის“ მოგონილი უმსგავსო, ანტიეროვნული, ანტისახელმწიფოებრივი რაღაც პროგრამა, რომელიც რეალურად ახალგაზრდებს აბნევდა და სთავაზობდა ალტერნატიულ სამსახურს. ეს ჩვენ კარგად ვიცით, რომ იყო ფიქტიური ვითომ რაღაც რელიგიური სამსახური. როგორ შეიძლება, ეს იყო ყველაზე დიდი მკრეხელობა და სისაძაგლე პირდაპირ დავარქმევ ამ სახელს, არ შეიძლება ამაზე თვალი დავხუჭოთ და ჩვენი ვალია, რომ ეს საკითხი მოვაგვაროთ და მოვაგვარეთ კიდეც. გეტყვით, როგორ, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა.

მისივე თქმით, აღმოიფხვრება საკანონმდებლო ხარვეზი, რაც გამორიცხავს არაკეთილსინდისიერი და ფიქტიური რელიგიური ორგანიზაციების არსებობის შესაძლებლობებს.

– აღმოიფხვრება ეს საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც მანამდე ბატონმა ზურაბ ჯაფარიძემ, დიდი პატივია ამ მთავრობის სხდომაზე მისი გვარის ხსენება, მაგრამ ვიტყვი, რომ ეს იყო ყველაზე დიდი მავნებლობა, რომელიც მან ჩაიდინა ქვეყნის ახალგაზრდობის და ჩვენი მომავალი თაობის წინააღმდეგ. ამიტომ დაიხურება ეს ხარვეზი, აღმოიფხვრება და გამორიცხება მათი არაკეთილსინდისიერი, ეს ფიქტიური, ვითომ რელიგიური ორგანიზაციების შესაძლებლობა. ეს საკითხი გავლილი გვქვს ჩვენ ასევე საპატრიარქოსთანაც და შესაბამისი ჩანაწერის მიხედვით, აღნიშული საკითხი მოგვარდება ერთხელ და სამუდამოდ. ჩვენ აღარ მივცემთ ამ მავნებლებს ჩვენი ახალგაზრდა, ჯანსაღი თაობის არასწორ გზაზე დაყენების საშუალებას. ადამიანს ეუბნებოდნენ პირდაპირ, თავი აარიდე შენს მთავარ კონსტიტუციურ მოვალეობასო. ამაზე დიდი მავნებლობა და მტრობა შენი ქვეყნის რა შეიძლება იყოს? ასე რომ, ეს საკითხი მოგვარებულია.

23 წლამდე სტუდენტებს, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ სამხედრო წვრთნა გაიარონ სტუდენტობის პერიოდშივე, 4 წლის ვადაში შეეძლებათ პროგრამაში ჩართვა, წელიწადში დაახლოებით 1– თვიანი ინტენსიური მომზადების პროგრამა ექნებათ სამხედრო ბაზებზე და იდენტურ, ძირითად სამხედრო მომზადების პროგრამას გაივლიან, – აღნიშნა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, პროგრამის ამოქმედებიდან 4 წლის თავზე წელიწადში დაახლოებით 10.000 წვევამდელს მოამზადებს თავდაცვის სამინისტრო, პროგრამის სრულად ამოქმედების შემდეგ კი 10 წელიწადში მინიმუმ 100.000-კაციანი რეზერვი ეყოლება ქვეყანას.

– თავდაცვის ახალ კოდექსში ჩაიწერება, რომ სამხედროებისთვის ბინების მშენებლობა სახელმწიფოს ვალდებულება იქნება, დაჭრა–დასახიჩრების შემთხვევაში დახმარება 7.000 ლარის ნაცვლად 20.000 ლარი იქნება, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპვის შემთხვევაში კი ერთჯერადი დახმარება 30.000 ლარი იქნება, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის დროს, ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დაღუპვის შემთხვევაში კომპენსაცია 100.000 ლარით განისაზღვრა და ეს აჩვენებს ხელისუფლების დამოკიდებულებას სამხედროებისა და პოლიციელების მიმართ.

– ამ კოდექსში სამხედრო მოსამსახურეების სოციალური გარანტიები იყო ჩადებული. მე ადრე ვთქვი, რომ ბინების მშენებლობა არ უნდა იყოს ერთჯერადი, ისე როგორც არ იქნება ერთჯერადი პოლიციისთვის, მანდაც გვინდა, რომ დავარეგულიროთ. კოდექსში ჩაიწერება, რომ ბინების მშენებლობა იქნება სახელმწიფოს ვალდებულება, ეს არ იქნება რომელიმე კარგი მინისტრის კეთილი ნება, ეს უნდა იყოს სახელმწიფოს ვალდებულება და ყოველ 3 წელიწადში ჩვენს სამხედროებს აუშენდებათ ბინები. იგივე გვინდა, რომ გავაკეთოთ პოლიციისთვის. ეს უნდა იყოს ჩვენი ვალდებულება, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„რუსეთი საბჭოთა კავშირის გზას დაადგა“

სოსო ცინცაძე: „საიდუმლო მოლაპარაკებებს რუსეთთან ვერავინ ვერ გამართავს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, ოფიციალური რუსეთი არ გამორიცხავს პირდაპირი ფრენების აღდგენას, ვიზალიბერალიზაციას გარკვეული წინაპირობებით. როგორ ფიქრობთ, რა შეიძლება იდგეს ამ ყველაფრის უკან?

– სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გაწყვეტა ძალიან ცუდია. რაღაც მოდუსვივენტუსი უნდა გამოიძებნოს, მაგრამ რის ფასად?! ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელზეც პასუხი აუცილებელია. ჩვენ, როგორც სახელმწიფოს, გვაქვს ჩვენი წითელი ხაზები. ეს არის ჩვენი სუვერენიტეტი, ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა, ჩვენი იდენტობა. ეს ის საკითხებია, რომლებიც არაფერში არ იცვლება. ამას, უბრალოდ, ვერ დავთმობთ, როგორც სახელმწიფო.

ზურა აბაშიძე, რომელიც რუსეთთან პრემიერის სპეციალური წარმომადგენელია, ჩემი ბავშვობის მეგობარია. ბევრჯერ გვისაუბრია პროფესიულ დონეზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე. ხშირად უთქვამს, რომ რუსეთთან ურთიერთობა ძალიან რთულია. რუსეთი არ იცავს შეთანხმებას, მისთვის პირის გატეხა არაფერია. იგი კარგი დიპლომატია. მეც კარგად ვიცნობ რუსეთს, პროფესიულ დონეზე მაქვს შესწავლილი და ვიცი, რომ რუსეთი დიპლომატიურ შეთანხმებას არად დაგიდევს. თუმცა მოლაპარაკებებს ალტერნატივა არა აქვს, როდესაც იცი, რომ შენი მეზობელი მგელია.

– დიპლომატია რამდენად ცნობს თუნდაც ცალმხრივად უვიზო მიმოსვლას?

– დიახ, ცალმხრივი მე პირადად არაფერი მომწონს. დიპლომატიაში კი არა, ცალმხრივი ქუჩის მოძრაობაც კი არ მომწონს. სიმართლე გითხრათ, იმას, რაც დღეს რუსეთთან გვაქვს, ცალმხრივ უვიზო მიმოსვლას ვგულისხმობ, დიპლომატიაში რა ჰქვია, არც კი ვიცი.

– დღეს ამ საკითხების წამოწევა რას უნდა ნიშნავდეს?

– იმას, რომ რუსეთი ძალიან ცუდ დღეშია. პუტინი კარგად ხვდება, რომ უკრაინის ომის გამო სერიოზული იზოლაცია ემუქრება, იცის, რომ ასე მარტივად არ დგას საკითხი. გერმანია, ტრადიციულად, ასე თუ ისე, რუსეთთან დაბალანსებული ურთიერთობების შენარჩუნებას ცდილობდა, მაგრამ დღეს შოლცი ძალიან მკაცრია, პირდაპირ ამბობს, რომ რუსეთს ძალიან მკაცრად უნდა ველაპარაკოთ. გლობალურად იცვლება ყველაფერი. როგორც ჩანს, იცვლება მსოფლიო წესრიგი. ყოველ შემთხვევაში, როგორც აქამდე იყო, ისე ვეღარასოდეს ვეღარ იქნება.



უკვე ცნობილი გახდა, რომ ევროპამ გაზის 24-პროცენტიანი ეკონომია გააკეთა, როდესაც საუბარი იყო მხოლოდ 17-18 პროცენტზე. ურსულა ფონ დერ ლაიენმა განაცხადა, მომავალი წლის ზამთრისთვის დავიწყეთ მზადებაო. ეს ნიშნავს, რომ რუსეთმა გაზისა და ნავთობის ყველაზე მდიდარი გასაღების ბაზარი დაკარგა. ეს კარგ დღეს არ უქადის რუსეთს. 450-მილიონიანი ბაზრის დაკარგვა ნამდვილად არ არის კარგი საჩუქარი. მოპოვებით კი მოიპოვებენ, მაგრამ, მერე სად დააბინავებენ, ეს სერიოზული თავსატეხი ექნება მომავალში რუსეთს.

ასევე ძალიან ბევრ რამეს ამბობს ბიუჯეტი, რომელსაც პუტინმა 5 დეკემბერს მოაწერა ხელი. ბიუჯეტიდან 30 პროცენტი სამხედრო საჭიროებისთვის არის გამოყოფილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთი საბჭოთა კავშირის გზას დაადგა. საბჭოთა კავშირში ყველაზე მეტი დაფინანსება შეიარაღებაზე მიდიოდა, რამაც გააკოტრა კიდეც. ეს ყველაფერი გასათვალისწინებელია. სწორედ ეს მოცემულობა ქმნის ახალ რეალობას. რა თქმა უნდა, მე ყოველთვის მოლაპარაკებების მომხრე ვარ, მაგრამ რის ფასად?! გითხარით წითელ ხაზებზე, რომლებსაც საქართველოში ვერავინ ვერ გადაკვეთს. საიდუმლო მოლაპარაკებებს ხალხის ზურგსუკან რუსეთთან ვერავინ ვერ გამართავს, რადგან, როგორც სახარება ამბობს, „არა არს დაფარული, რაიცა არა გაცხადდეს“!

– ოპოზიცია ამბობს, რომ იმ პოლიტიკის სანაცვლოდ, რომელიც ხელისუფლებას რუსეთის მიმართ აქვს, ბორდერიზაცია მაინც უნდა შეჩერებულიყო.

– ამისთვის სერიოზული დიპლომატიაა საჭირო, სერიოზული მოლაპარაკებები, მიუხედავად იმისა, რომ ვიცით, რუსეთი როგორ „იცავს“ შეთანხმებას. რუსეთის დევიზია პეტრე დიდიდან მოყოლებული – არ გასცეს არაფერი, მხოლოდ მიიღოს. მაგრამ გარემო იცვლება, რეალობა იცვლება და ჩვენც ამის ადეკვატურები უნდა ვიყოთ, დრო უნდა გამოვიყენოთ საჩვენოდ. ამას ემსახურება დიპლომატიაც. ქვეყანას საჭირო დროს უნდა გამოადგეს დიპლომატია. დიპლომატიაც ხომ სმოკინგებში გამოწყობილების ცივილიზებული ვაჭრობაა. თუმცა, სიმართლე გითხრათ, დღეს არავინ არ მეგულება საგარეო საქმეთა სამინისტროში, ვინც ამას თავს გაართმევს და საკუთარ თავზე აიღებს. დიპლომატია ძალიან მკაცრი სპორტია. თუმცა მოლაპარაკებებში ცუდი არაფერია. ჭკვიანურ დიპლომატიას ალტერნატივა არა აქვს, მაგრამ, ჯერ ვერ გეტყვით, რა იქნება. თუმცა რუსეთის მხრიდანაც არაფერი ხელჩასავლები არ მოგვისმენია. ვნახოთ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „კორუფციის კონტროლის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მე-40 ადგილზე გავიდა, ევროპაში — 21-ეზე და კონტინენტური ევროპის საუკეთესო ოცეულში — მე-18-ეზე“

– რამდენიმე ხნის წინ მსოფლიო ბანკის კვლევა გამოქვეყნდა. მმართველობის ინდიკატორების მიხედვით, ჩვენმა ქვეყანამ სერიოზული პროგრესი განიცადა ბოლო პერიოდში. მაგალითად, კორუფციის კონტროლი ავიღოთ – კორუფციის კონტროლის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მეორმოცე ადგილზე გავიდა, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, კორუფციის კონტროლის მიხედვით საქართველო ევროპაში, 21-ე ადგილზე და კონტინენტური ევროპის საუკეთესო ოცეულში, მე-18 ადგილზე გავიდა.

– მსოფლიო ბანკის კვლევა გამოქვეყნდა რამდენიმე ხნის წინ. მმართველობის ინდიკატორების მიხედვით, ჩვენმა ქვეყანამ სერიოზული პროგრესი განიცადა ბოლო პერიოდში. მაგალითად, კორუფციის კონტროლი ავიღოთ – კორუფციის კონტროლის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში მეორმოცე ადგილზე გავიდა. ამავე ქვეყნებს შორის, ევროპაში, 21-ე ადგილზე და კონტინენტური ევროპის საუკეთესო ოცეულში, მე-18 ადგილზე გავიდა ჩვენი ქვეყანა კორუფციის კონტროლის მიხედვით. ჩვენ ვუსწრებთ ევროკავშირის წევრ თერთმეტ სახელმწიფოს და ნატოს წევრ 13 სახელმწიფოს. ეს არის შედეგი, რომელიც ჩვენ ბოლო ათწლიანი მმართველობის შედეგად მივაღწიეთ.

მინდა კიდევ ერთხელ შევახსენო ყველას, რომ მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის მიხედვით, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში 30-ე ადგილზეა კორუფციისგან თავისუფლების ინდექსის მიხედვით. მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპის საუკეთესო ოცეულში მე-18 ადგილზე გავიდა, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაორმაგებული მაჩვენებელი იმაზე მიუთითებს, რომ ინვესტორები კარგად ხედავენ ქვეყანაში არსებულ სტაბილურ, მშვიდ ვითარებას.

– მე მინდა დღეს რამდენიმე მნიშვნელოვანი სიახლე გავაცნო ჩვენს საზოგადოებას და პირველი საკითხი, რაზეც მინდა ვისაუბრო, არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაორმაგება ბოლო ერთ წელიწადში. იმის მიუხედავად, რაც ხდება რეგიონში, მეგობრებო, კარგად მოეხსენება ყველას, რომ უკრაინაში საშინელი ომი მიმდინარეობს, დაძაბულობაა ყველგან, რეცესია ევროპაში, ყველგან, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ ფონზე, ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომელთა საერთო მოცულობამ შეადგინა მილიარდ 675 მილიონი აშშ დოლარი. ეს არის თითქმის გაორმაგება. ჩვენ თუ ამას შევადარებთ წინა წელს და ასევე, მინდა ვთქვა, რომ კოვიდამდე პერიოდს თუ შევადარებთ, 2019 წელს მაგალითად, 70%-ით არის გაზრდილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ინვესტორები კარგად ხედავენ სიტუაციას, რომელიც არის შექმნილი ქვეყანაში.

პირველ რიგში, ეს არის სტაბილურობა, რომელიც ჩვენ შევქმენით, მშვიდობა.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ქუთაისის პარლამენტის შენობის ბაზაზე ახალი IT, ტექნოლოგიური ჰაბის შექმნა იგეგმება.

– მოგეხსენებათ, ქუთაისის პარლამენტის შენობა არის პრაქტიკულად უფუნქციოდ დარჩენილი. ჩენი მიზანი არის, რომ მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ იქ IT მიმართულების განვითარებას. ვმუშაობთ ერთ-ერთ ებრაულ კომპანიასთან, რომელიც გამოთქვამს სურვილს, რომ ქუთაისის პარლამენტის შენობის ბაზაზე შეიქმნას ახალი IT ჰაბი და არა მხოლოდ ტექნოლოგიური ჰაბი.

თბილისსა და ბათუმში, აეროპორტებში ჩვენ ველოდებით 400-500 მილიონი დოლარის ინვესტიციას, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, ამ მიმართულებით მთავრობამ მუშაობა უკვე დაიწყო და სიახლეები მოგვიანებით გახდება ცნობილი.

პრემიერის განცხადებით, აქტიურად მთელი ქვეყნის „მასტერპლანზე“ ანუ გენგეგმაზე მუშაობენ.

მისივე თქმით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით და ეს ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია.

ალეკო ელისაშვილი: „გაიღვიძა მთავრობამ“

„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. ბოლოს და ბოლოს, გაიღვიძა მთავრობამ და მიხვდა, რომ იცვლება ჩვენ გარშემო ყველაფერი და არ შეიძლება, გაწვევა სავალდებულო არ იყოს“, – ამის შესახებ პარტია „მოქალაქეების“ ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, რითაც გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებას სამხედრო სავალდებულო სამსახურთან დაკავშირებით.

დეპუტატის აზრით, თავდაცვის ძალების გასაძლიერებლად აუცილებელია, რომ ყველა ახალგაზრდას გავლილი ჰქონდეს საბრძოლო მომზადება. როგორც ელისაშვილმა თქვა, აღნიშნული კოდექსის შემუშავებაში თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტში თავადაც ჩართული იყო.

– ამდენი ხანი რატომ ეძინათ, არ ვიცი, არადა, თვეების განმავლობაში მე, პირადად, როგორც პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრი, ჩართული ვიყავი ზუსტად ამ კოდექსის შემუშავებაში და ყოველ ჯერზე თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის წევრებს ვეკითხებოდი, რატომ არ გამოგვქონდა და რატომ იყო გაჩერებული. კარგია ის, რაც კეთდება, ამდენ ხანს არ უნდა გაწელილიყო.

აღდგება სავალდებულო სამსახური, მაგრამ არ იქნება არანაირი ყარაულები, არანაირი დაცვის პოლიციაში წაყვანა, არანაირი ჭიშკართან ატუზული ბავშვები საპატიმროების ე.წ. კოშკურებზე. წავა ყველა ახალგაზრდა, ვინც 18 წლის გახდება და რამდენიმეთვიან საბრძოლო მომზადებას გაივლის მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის ძალებში, მხოლოდ ჯარში და აუცილებლად ყველა გაივლის ბატალიონის დონეზე საბრძოლო მომზადებას.

ეს კარგია და, შესაბამისად, აქ იქნებიან ყველა პროფესიის წარმომადგენლები, არანაირი დათქმები არ იქნება, არანაირი „გირჩის“ ცნობებით თავის დაძვრენა, რაც თავისთავად დიდი მავნებლობა იყო.

არმია დაინტერესებული და მოწადინებული ადამიანებისგან უნდა შედგებოდეს – „გირჩი – მეტი თავისუფლება“ სავალდებულო სამხედრო სამსახურზე ღარიბაშვილის განცხადებას პასუხობს.

ყველა ჯანმრთელი ახალგაზრდა გაივლის საბრძოლო მომზადებას, ეს არის აუცილებელი, ამით უნდა გაძლიერდეს ჩვენი თავდაცვის ძალები და ყველა ახალგაზრდამ ოფლი უნდა ღვაროს ქვეყნის სამსახურში, უნდა იცოდეს იარაღთან მოპყრობა და ელემენტარული ტაქტიკური მომზადება უნდა ჰქონდეს გავლილი.

მიმაჩნია, ამ ეტაპზე უნდა იყვნენ ბიჭები, მაგრამ თანდათან ქალებმაც გაიარონ საბრძოლო მომზადება, როგორც ფინეთში, ისრაელშია და როგორც ყველა მსგავსი გამოწვევების მქონე ქვეყანაშია, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

ნონა მამულაშვილი ენმ-ს თავმჯდომარეობისთვის იბრძოლებს, გიორგი ხვედელიანი — პარტიის გენერალური მდივნობისთვის

– ნონა მამულაშვილი პარტიის თავმჯდომარის კანდიდატად და გიორგი ხვედელიანი პარტიის გენერალური მდივნის კანდიდატად ვერთვებით ნაციონალური მოძრაობის არჩევნებში, – ამის შესახებ ნონა მამულაშვილისა და გიორგი ხვედელიანის განცხადებაშია საუბარი.

ორი წლის წინ, 2021 წლის 31 იანვარს, ნაციონალურმა მოძრაობამ განახლება გამოაცხადა და საზოგადოებას თორმეტი ახალი წევრი წარუდგინა.

მაშინ ჩვენც ამ განახლების ნაწილი გავხდით ერთადერთი მიზეზით – გვემოქმედა პარტიის გაჯანსაღებისთვის, შემდეგ კი ქვეყნის პროდასავლური განვითარებისთვის, ეკონომიკურად ძლიერი, სამართლიანი და დაცული საქართველოსთვის. ცვლილებების სურვილისა და უკომპრომისო ბრძოლის მიუხედავად, დავინახეთ, რომ მძიმე სისტემური პრობლემების გამო, პარტიის გაჯანსაღება შეუძლებელი ხდებოდა. ამიტომ, სხვადასხვა დროს, თუმცა ერთი და იმავე მიზეზით, დავტოვეთ პარტია. ქვეყანაში არსებულ უმძიმეს კრიზისს, ოლიგარქიულ მმართველობას, პოლიტიკურ მართლმსაჯულებასა და დასავლური კურსიდან გადახვევას ნაციონალური მოძრაობა სუსტი და პოლიტიკისგან დაცლილი ებრძვის.

თუმცა, საბედნიეროდ, ჩნდება ცვლილების შესაძლებლობა და ეს შიდაპარტიული არჩევნებია!

სწორედ ამიტომ ჩვენ ვერთვებით ამ არჩევნებში, რათა დავაბრუნოთ პოლიტიკა პარტიაში, გადავდგათ ყველა აუცილებელი ნაბიჯი ოლიგარქიული რეჟიმის შესაცვლელად, პარტიის დამფუძნებლის, მიხეილ სააკაშვილისა და მთავარი არხის ხელმძღვანელის, ნიკა გვარამიას პოლიტიკური პატიმრობიდან დასახსნელად.

ჩვენ, ნონა მამულაშვილი – პარტიის თავმჯდომარის კანდიდატად და გიორგი ხვედელიანი – პარტიის გენერალური მდივნის კანდიდატად ვერთვებით ნაციონალური მოძრაობის არჩევნებში, რათა თქვენთან ერთად განვაახლოთ 2021 წელს დაწყებული პარტიის განახლებისა და გაჯანსაღების პროცესი.

დავდგეთ ერთად ცვლილებებისთვის, – წერს ნონა მამულაშვილი.

ედუარდ სააკაშვილი: „არ უნდა მივცეთ საშუალება მამაჩემს, რომ ციხეში გარდაიცვალოს“

ედუარდ სააკაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა:

– მამაჩემთან დაკავშირებით სიტუაცია უნდა შეიცვალოს. ჩვენ არ უნდა მივცეთ საშუალება მამაჩემს, მიხეილ სააკაშვილს, რომ გარდაიცვალოს ციხეში ან რაღაც მძიმე, გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს მის ჯანმრთელობას. ჩვენ უნდა გავუძლოთ ამ რთულ პერიოდს ჩვენი ოჯახის ისტორიაში. გამოსავალი მარტივია, რეალური შესაძლებლობა არსებობს, საქართველოს მთავრობამ სწორი ნაბიჯი გადადგას და მისცეს საშუალება, საზღვარგარეთ იმკურნალოს.

ვფიქრობ, რეალური შანსი გვაქვს ახლა ჩვენი მეგობრების მხარდაჭერით ევროპიდან მზარდი კონსენსუსის ფონზე საქართველოსა და ევროპაში, რომ სიტუაცია ძალიან მძიმეა და ის უნდა შეიცვალოს. შემდეგ რა მოხდება ჯერ განსაზღვრული არ არის. ეს დამოკიდებულია ყველა ჩვენგანზე – ოჯახზე, ადამიანებზე, რომლებიც თანხმდებიან იმაზე, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს და მამაჩემის სიცოცხლე უნდა გადარჩეს და მისი ჯანმრთელობა უნდა იყოს შენარჩუნებული.

„პუტინი პროვოკაციებს მოაწყობს“

როგორ ცდილობს კრემლი რუსების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლას?

მარიამ მჭედლიშვილი

24 თებერვალს დაწყებულმა ომმა რუსეთს ტრიუმფი კი არა, წარმატებაც ვერ მოუტანა. რას მოიმოქმედებს პუტინი უკრაინაში მიმდინარე არაერთი მარცხის ფონზე? მოიშორებს თუ არა კრემლი ლუკაშენკოს? – ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა ბელარუსი ოპოზიციონერი ანატოლი ლებედკო.

ბელარუსი პოლიტიკოსი განმარტავს, თუ როგორ ცდილობს კრემლი რუსეთის მიმართ დადებითი (ან ნეიტრალური) დამოკიდებულების დამკვიდრებას, ასევე ბელარუსებისა და უკრაინელების ერთმანეთზე გადაკიდებას. პროკრემლისტური განწყობების კულტივირება, ასევე ქართველებსა და უკრაინელებს შორის ურთიერთობის გაფუჭების აქტიური მცდელობა საქართველოშიც აშკარაა.

– ბოლო დღეებში ისევ ხდება ბელარუსის მხრიდან უკრაინაში შეჭრის საფრთხის თემის აქტუალიზაცია. რუსეთის ფედერაციამ ბელარუსის რესპუბლიკაში გადაისროლა 12 ათასი „მობიკი“. უახლოეს დღეებში დაანონსდა შეჭრის მცდელობაც. შემდეგ უკრაინულმა დაზვერვამ უარყო ეს ვერსია. როგორ აფასებთ ამგვარ საფრთხეს?

– რესურსი და პოლიტიკური ნება არსებობს პროვოკაციებისათვის. უკრაინაზე სრულმასშტაბიანი თავდასხმა შეუძლებელია 12-ათასიანი ძალით იმ შემთხვევაშიც კი, თუ იქნება ბელარუსი სამხედროების დახმარება და დამატებითი ტექნიკის მოზიდვა.

პროვოკაციების ორგანიზებისთვის ეს რესურსი სავსებით საკმარისია. კრემლში არსებობს მოთხოვნა, მოაწყონ ამგვარი პროვოკაციები ბელარუს-უკრაინის საზღვარზე. განიხილება მოვლენების განვითარების სხვადასხვა სცენარი. ერთ-ერთი მათგანია კომპენსაციის სცენარი უკრაინაში წარუმატებლობებისთვის. ეს არის ბელარუსის მიერთება.

ამის განხორციელებისათვის საკმარისი არ არის საოკუპაციო ჯარების შეყვანა. საჭიროა, რომ საზოგადოებრივი აზრი განეწყოს რუსების მიმართ ნეიტრალურად ან პოზიტიურად. პუტინისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ბელარუსებისა და უკრაინელების ურთიერთობის სისხლში გასვრა. ამისათვის აუცილებელია პროვოკაციები. ეს პუტინის ინტერესია, რომელიც არ ემთხვევა ლუკაშენკოს ინტერესს. ერთი მხრივ, იგი ხელისუფლებაში კრემლის მხარდაჭერის წყალობით იმყოფება, მეორე მხრივ, ლუკაშენკოს ესმის, რომ ბელარუსი 90%-ით არის განწყობილი ომის წინააღმდეგ და სამხედროების გაგზავნა (რუსეთის არმიის მოკავშირედ) ნეგატიურად აღიქმება. ლუკაშენკო ამ ნეგატივს ვერ ჩამოირეცხავს. ამიტომ ის ამას შეეწინააღმდეგება. თუმცა ჯაჭვი, რომლითაც პუტინს ლუკაშენკო ჰყავს გამობმული, მოკლეა. ლუკაშენკო ვერ მეთაურობს რუსეთის გენერლებს, რომლებიც იმყოფებიან ბელარუსის ტერიტორიაზე. ეს მისი სუსტი ადგილია. შესაძლებელია პროვოკაციები საზღვარზე, ბელარუსში ანტიუკრაინული განწყობების გაღვივება ამ პროვოკაციების მეშვეობით. სრულმასშტაბიან შეჭრას ბელარუსიდან არ ველი.

– მიიჩნევთ თუ არა, რომ უკრაინაში დამარცხებული პუტინი შეცვლის ლუკაშენკოს?

– მაკეის (ახლახან გარდაცვლილი ბელარუსის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი) უეცარი სიკვდილის შემდეგ ასეთი ვერსია საჯარო სივრცეში ვრცელდება. მე ვერ ვხედავ ლუკაშენკოს თავიდან მოშორების რეალურ საჭიროებას. ვინ უნდა მოიყვანონ მის მაგივრად? ლუკაშენკომ ამ 30 წელიწადში შექმნა საკონცენტრაციო ბანაკი. ყველა ინსტრუმენტი მის ხელშია. ლუკაშენკოს ჩამოცილების შემდეგ ეს საკონცენტრაციო ბანაკი ჩამოიშლება. საკონცენტრაციო ბანაკს სხვა ვერცერთი პოლიტიკური ფიგურა ვერ უხელმძღვანელებს.

სანამ ლუკაშენკო იმყოფება ბელარუსში, პუტინი პოლიტიკურად მაინც მშვიდად იქნება. მას ეცოდინება, რომ ბელარუსის ტერიტორია შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა სპეცოპერაციისა და პროვოკაციისათვის, სარაკეტო დარტყმებისათვის და სხვა.

რასაკვირველია, პუტინს სხვა რამეც აქვს მომზადებული, თუმცა მისი „ზაგოტოვკების“ ამოქმედების დროს ჯერ არ დამდგარა.

„ჩემთვის ნაცი ნაცად რჩება“

პეტრე მამრაძე: „საერთაშორისო ორგანიზაციებმა, უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა, საელჩოებმა უნდა ნახონ, სააკაშვილი როგორ პირობებში იმყოფება“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი პეტრე მამრაძე პასუხობს.

– ბატონო პეტრე, ჩვენთან ინტერვიუში ივარაუდეთ, რომ ვინც საქართველოს საწინააღმდეგო რეზოლუციების შემუშავებასა და მიღებაშია ჩართული, შეიძლება კორუფციასთან იყოს დაკავშირებული. ახლახან ბელგიის პროკურატურამ კორუფციის ბრალდებით ევროპარლამენტის ვიცეპრეზიდენტი ევა კაილი დააკავა. ის ევროპარლამენტში საბერძნეთს წარმოადგენდა. რეალურად კორუფცია და ევროპარლამენტი როგორ უკავშირდება ერთმანეთს? რა გავლენას ახდენს კორუფცია ევროკავშირის პოზიციაზე, ვთქვათ, ისეთი ქვეყნების მიმართ, როგორიც ჩვენ ვართ?

– ევროპარლამენტში კორუფციის არაერთი ფაქტია ცნობილი, არაერთი სკანდალიც ყოფილა, ჟურნალისტური გამოკვლევებიც ჩატარებულა და პროკურატურისა და კორუფციასთან ბრძოლის სტრუქტურების მიერ არაერთი პირი იყო მხილებული. განსაკუთრებით სწორედ ლობირებითაა შეფარული. დიდი კომერციული ორგანიზაციების, ფირმების ლობირება ამის კონკრეტული მაგალითებია.

ამასთან დაკავშირებით შარშანაც იყო დიდი სკანდალი. ზოგჯერ რომელიმე ქვეყნის მდიდარ, ავტორიტარ მმართველს, რომელსაც ბევრი ნავთობი და გაზი აქვს და შეუძლია, თანხები განკარგოს, უფრო ძლიერი ლობისტური ჯგუფები ჰყავს.

ეს ის არ არის, ვინც ოფიციალურადაა დაქირავებული, არამედ ქრთამის მეშვეობით, ვთქვათ, რომელიმე პარლამენტარს არ უნდა, ევროპარლამენტში მის ავტორიტარიზმზე, კორუმპირებულობაზე ილაპარაკონ და შეფარულად მოქმედებს. კარგად მახსოვს ესპანელი ჟურნალისტის მოკვლევა კორუფციაზე.

აქ ახალი არაფერია. მისასალმებელია, რომ ბრძოლა მიმდინარეობს და საკმაოდ ბევრი ფაქტი ხდება ცნობილი. ეს ბევრად უკეთესია, ვიდრე გაჩუმება იმ დროს, როცა კორუფცია არსებობს.

– ახალი ისაა, რომ კორუფციის ბრალდებით ვიცეპრეზიდენტი დააპატიმრეს.

– დაპატიმრებები ახალია, მაგრამ კორუფციის გამო ევროპარლამენტის ხმაურიანად დატოვება ხდებოდა. მახსოვს, გერმანელი პარლამენტარი იძულებული გახდა, თავისი უფლებამოსილების შეწყვეტაზე განცხადება დაეწერა. არ ვიცი, მერე დააპატიმრეს თუ არა. რაღაც დიდ კომპანიასთან ჰქონდა კავშირი.

– ამ შემთხვევაში 600 ათასი ევროა ამოღებული.

– ევროპარლამენტი განსხვავდება ეროვნული სახელმწიფოების პარლამენტებისაგან. ევროპარლამენტარს შედარებით ნაკლები ფუნქცია აქვს. მაგალითად, საფრანგეთიდან ან საბერძნეთიდან ევროპარლამენტში წარმოდგენილ დეპუტატს გაცილებით ნაკლები ფუნქცია აქვს, ვიდრე ეროვნულ პარლამენტებში. პასუხისმგებლობაც გაცილებით ნაკლებია. შესაბამისად, კორუფციისკენ გზაც ხსნილი აქვს.

– გავლენა ხომ აქვთ? ჩვენ გვაქვს გამოცდილება იმისა, თუ როგორ რეზოლუციებს აღებინებენ ევროპარლამენტს, რამაც საქართველოს ხელი შეუშალა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებაში. ასე არ იყო?



– რა თქმა უნდა, ხელი შეგვიშალა. როდესაც ქვეყანაში არის ანტიეროვნული დაჯგუფება, რომლის მიზანია საქართველოსთვის დიდი ზიანის მიყენება, ცხადია, ასე იქნება. ვგულისხმობ საკუთრივ სააკაშვილის თანამზრახველებს, ნაცისტებსა და მათთან დაახლოებულ პირებს.

ჩემთვის ნაცი ნაცად რჩება. აღმაშენებელშია გადასული, დაღმაშენებელში თუ ბოკერიას ჯგუფში, ნაცი ნაცია. როდესაც ეს ადამიანები ფინანსურ რესურსებს ინარჩუნებენ და აქტიურად მუშაობენ, არ უნდა გვიკვირდეს, რომ რამდენიმე ადამიანის (ასე ვთქვათ, რომლებსაც საქართველოსთან აქვთ ურთიერთობა) მიმხრობა შეუძლიათ.

– მხოლოდ კორუფცია და მოსყიდვაა თუ სხვა ფაქტორიც არის?

– სხვათა შორის, მხოლოდ კორუფციასა და მოსყიდვაზე არ არის საუბარი, აი, ვთქვათ, შეიძლება პირადი ურთიერთობები ჰქონდეთ. როდესაც მეგობრობენ, პირადი ურთიერთობა აქვთ, მათ შორის ნდობაა და, რასაც ნაცები უყვებიან, შემოწმებაც არ უნდათ, ისე სჯერათ.

ჩამოვა რომელიმე, ვთქვათ, ჟიგიმანდას პავილიონისი, იტყვის, ესენი ჩემი მეგობრები არიანო და დადებენ სურათს, ანდა დევიდ კრამერი ჩამოვა და მერე ნახავენ, როგორ ქეიფობენ, ამით მათ გულს მოიგებენ. ასე რომ, პირად ურთიერთობებსაც მნიშვნელობა აქვს.

თავის დროზე გაცემული ჯილდოები, სააკაშვილის მიერ დარიგებული საქართველოს უზენაესი ორდენებიც გარკვეულ როლს თამაშობს. ესენი მხოლოდ თავს რომ ხრიან, ეგრე არ არის.

– ვიცეპრეზიდენტის დაპატიმრება გავლენას თუ იქონიებს შიგნით, ევროპარლამენტში ჩვენნაირი ქვეყნების მიმართ დამოკიდებულებაზე?

– მაინცდამაინც – არა. ამან შეიძლება იმოქმედოს შიშის მხრივ, ანუ კონკრეტული პირი კონკრეტულ საქმეზე კონკრეტული ქრთამის შეთავაზებისას დაფიქრდება, უღირს თუ არა. პრინციპული და პატიოსანი ადამიანისთვის ქრთამის აღების ცდუნებაც კი არ არის. ასეთი ადამიანი ქრთამს არასოდეს აიღებს.

კორუმპირებული ადამიანი რისკებს წინასწარ აფასებს, ფიქრობს, ეს ქრთამი რომ ავიღო, გარისკვა რამდენად ღირსო. თუ მას ჰგონია, რომ გაუვა და შერჩება, მაშინ შეიძლება გარისკოს.

დაპატიმრებისა და ევროპარლამენტის იძულებით მიტოვების შემთხვევები ზრდის რისკის მნიშვნელობის შეგრძნებას. ადამიანი ბინის გაქურდვაზე რომ მიდის, რისკს აფასებს, დამიჭერენ თუ შემრჩებაო.

– ბატონო პეტრე, დასავლეთში არაერთ გაზეთში დაქირავებულმა კომპანიამ წერილები გამოაქვეყნა, სააკაშვილი აწამეს და მოწამლესო. ეს კამპანია გავლენას თუ იქონიებს და რა გავლენას მოახდენს ქვეყნის საგარეო ურთიერთობებზე?

– თუ ხელისუფლება სწორ და ადეკვატურ რეაგირებას მოახერხებს, გავლენა განულდება.

– ანუ რა უნდა გაკეთდეს?

– ეს იმას ნიშნავს, მათი პიარის შედეგების გასანეიტრალებლად საერთაშორისო ორგანიზაციების, უცხო ქვეყნების წარმომადგენლების, საელჩოებისა თუ სხვათა ჩართულობა უნდა იყოს.

– რაში?

– რაში და ყველა რომ დარწმუნდეს, როგორ პირობებში იმყოფება სინამდვილეში მიხეილ სააკაშვილი – ჩიტის რძე არ აკლია არც კვებისა და არც მოვლის მხრივ. ნაცვლად იმისა, ეს ადამიანი საკანში იჯდეს, ყველაზე ფეშენებელურ და კარგად მოწყობილ კლინიკაში იმყოფება, რომელსაც ექიმების მთელი გუნდი დღე და ღამე თავს დასტრიალებს, არაფერს აკლებენ.

ეს უნდა ნახონ. პრინციპი, მთავარია, მართლები ვიყოთ კარგად იმუშავებს და ავტომატურად ამას მთელი მსოფლიო დაინახავსო, სწორი არ არის.

დამაჯერებლად უნდა აჩვენო და დაუმტკიცო იმ ადამიანებს, რომლებიც შეიძლება ამით დაინტერესებული იყვნენ, რომ იმ წერილებში რაც წერია, სიმართლეს არ შეესაბამება. ასე თუ მოიქცევი, შენ კარგად კი იმუშავებ და მართალიც იქნები, მაგრამ სხვამ შეიძლება იფიქროს, რომ საქმე ცუდადაა. სააკაშვილმა მაკრონს წერილი მისწერა, პუტინი მკლავს და მიშველეო. სააკაშვილი ყველანაირად ცდილობს, უცხოელებს სინამდვილე გამრუდებულად აჩვენოს.

ბრძოლები უკრაინის სამხრეთ რეგიონში

უკრაინის სამხრეთში ბრძოლებია. უკრაინული არმია კახოვკის ჰესიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებითაა. რაც შეეხება მდგომარეობას ხერსონში, იქ აღდგა სინათლე, წყლის მიწოდება, გაზმომარაგება. რუს და უკრაინელ ჯარისკაცებს შორის საარტილერიო დუელები გრძელდება. უკრაინელთა უპირატესობა აშკარაა. ამას თავად ოკუპანტებიც აღიარებენ.

– ნატოს არტილერიით მომარაგებული უკრაინული არმია აშკარად თავხედურად და აგრესიულად იქცევა, – აცხადებს რტრ.

დაძაბული მდგომარეობაა ზაპოროჟიეს ოლქშიც. უკრაინელებმა გაანადგურეს მტრის 120 იარაღის საწყობი. მელიტოპოლში ააფეთქეს ოთხი ყაზარმა, განადგურებულია დიდი ოდენობით რუსი ჯარისკაცი, მათ შორის „მობილიზებულები“, კადიროვის ბანდის წევრები და ფირმა „ვაგნერის“ მიერ გამოზრდილი ბანდიტები.

ნიკიტა მიხალკოვის საინტერესო აღიარება

ცნობილმა რუსმა კინორეჟისორმა და არანაკლებ ცნობილმა შოვინისტმა ნიკიტა მიხალკოვმა ფრიად საინტერესო განცხადება გააკეთა. მისი თქმით, ახლა არ არის იმის დრო, რომ პრეზიდენტ პუტინის შეცდომებზე ვილაპარაკოთ ან დავიწყოთ იმის გარკვევა, სწორი იყო თუ არა უკრაინაში შეჭრა.

– დღეს რუსეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება! ამიტომ ყველანი პუტინის გარშემო უნდა დავირაზმოთ, დანარჩენს კი ომის დამთავრების შემდეგ გავარჩევთ, – აცხადებს მიხალკოვი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დისნეილენდში სტუდენტი აიძულეს, ტანსაცმელი გამოეცვალა

მასაჩუსეტსის უნივერსიტეტის სტუდენტი გოგონა ჯორდინ გრეიმი დისნეილენდის თემატურ პარკში იძულებული გახადეს, ტანსაცმელი გამოეცვალა.

ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის მკვიდრმა გოგონამ განაცხადა, რომ ფლორიდის შტატში მდებარე დისნეილენდში ჯინსის შორტებსა და ზურგმოღიავებულ ცისფერ ტოპში გამოწყობილი მივიდა. 20 წლის გოგონას თქმით, პარკის თანამშრომლებმა მისი ჩაცმულობა მეტისმეტად ეროტიკულად მიიჩნიეს, სხვა ტანსაცმლის ჩაცმა მოსთხოვეს და პარკის ლოგოტიპიანი მაისური მიაჩეჩეს. ამასთან, გოგონამ აღნიშნა, რომ მისი მხრიდან უარის თქმით შემთხვევაში მას 20 დოლარით დაჯარიმება ელოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დეპუტატი ქეთევან ხარაიძე მოსკოვის სასამართლომ ციხეში 4 წლით გაუშვა

მოსკოვის სასამართლომ ტვერის რაიონის მუნიციპალიტეტის დეპუტატი, 63 წლის ქეთევან ხარაიძე, თაღლითობაში დამნაშავედ ცნო და 4-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ხარაიძეს 700 ათასი რუბლის ოდენობით ჯარიმაც დაეკისრა.

პროკურატურა ხარაიძისთვის 6 წლიან პატიმრობას მოითხოვდა. თავად ხარაიძე ბრალს არ აღიარებს.

– სასამართლომ ქეთევან ხარაიძე დამნაშავედ ცნო რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 159-ე მუხლის მე-4 ნაწილით (თაღლითობა, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით განსაკუთრებით დიდი მასშტაბით) ჩადენილ დანაშაულში და მიუსაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 700 ათასი რუბლის ოდენობით, – ნათქვამია სასამართლოს ინფორმაციაში.

ბრალდების მტკიცებით, ქეთევან ხარაიძემ, 38 წლის თანამზრახველთან ერთად, 2021 წლის მაისში შეიტყო დეველოპერულ კომპანიასა და ერთ-ერთი სახლის მცხოვრებლებს შორის კონფლიქტის შესახებ, რაც უკავშირდებოდა სამშენებლო მასალის საცხოვრებელ ზონაში გადატანის აკრძალვას.

გამოძიების ცნობით, ბრალდებულებმა გადაწყვიტეს ვითარების პირადი გამდიდრებისთვის გამოყენება, შეცდომაში შეიყვანეს კომპანიის წარმომადგენლები და 15 მილიონი რუბლის სანაცვლოდ დაჰპირდნენ პრობლემის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტას.

რამდენიმე დღის შემდეგ თანხის ნაწილი – 5 მილიონი რუბლი აიღეს, რა დროსაც ისინი პოლიციამ დააკავა.

ხარაიძის თანამზრახველთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო.

ხარაიძე მუნიციპალიტეტის დეპუტატად 2017 წელს აირჩიეს. ის კინოკომპანია „Art Capital Film“-ს მფლობელია.

იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, რომ მიხეილ სააკაშვილს ელექტროსიგარეტის მოხმარება შეეზღუდა

საქართველოს მესამე პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მკურნალ ექიმთა და პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამისი დანაყოფის გადაწყვეტილებით, ელექტროსიგარეტის მოხმარება შეეზღუდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში განუცხადეს.

უწყების ცნობით, გადაწყვეტილების მიღების მიზეზი გახდა ის, რომ მიხეილ სააკაშვილი დიდი რაოდენობით ელექტროსიგარეტს იღებდა.

– ბრალდებული/მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი იღებდა დიდი რაოდენობით ელექტრო სიგარეტს, რაც გახდა საფუძველი იმისა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში მის მკურნალ ექიმთა ჯგუფს, ასევე პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის დანაყოფს მიეღო გადაწყვეტილება, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მას შეზღუდვოდა ელექტრონული სიგარეტის მოხმარება, – აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

სამეგრელოში 28 წლის ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო

ზუგდიდში 28 წლის მამაკაცმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ტრაგედია რამდენიმე დღის წინ სოფელ კახათში მოხდა.

ამ ეტაპზე მომხდარის სხვა დეტალები უცნობია.

კორონავირუსის დიაგნოზით გარდაცვლილი 20 წლის ფეხბურთელის ოჯახი კლინიკის უფროსი მედდის პასუხისგებაში მიცემას ითხოვს

კორონავირუსის დიაგნოზით გარდაცვლილი 20 წლის ფეხბურთელის, ვახტანგ ჩარკვიანის ოჯახი კლინიკის უფროსი მედდის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას ითხოვს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარდაცვლილი ფეხბურთელის ოჯახის ადვოკატმა ზაზა ხატიაშვილმა განუცხადა, რესპუბლიკურ საავადმყოფოში 20 წლის ბიჭს „მორფინის“ იმაზე მეტი დოზა გაუკეთეს, ვიდრე საჭირო იყო, ხოლო კლინიკის უფროსმა მედდამ ავადმყოფის ისტორიას სხვა მედდების ნაცვლად ხელი თავად მოაწერა, რითაც დოკუმენტი გაყალბდა.

ადვოკატის ინფორმაციით, უფროსი მედდა გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში ამბობს, რომ დოკუმენტზე ხელმოწერა არ ევალებოდა, თუმცა მაინც მოაწერა, „რადგანაც დაურეკეს და ამგვარად ხელმოწერის დავალება მიიღო“.

ხატიაშვილის თქმით, ვინ დაურეკა მედდას ამ მოთხოვნით, ეს ოჯახისთვის უცნობია. როგორც მან აღნიშნა, მედდის ჩვენება პროკურატურას დაახლოებით ერთი წელია აქვს, თუმცა რეაგირება ამ დრომდე არ მომხდარა. მისი თქმით, არ არის გამორიცხული, რომ „მედდას ხელს აფარებენ“.

– ჩვენ გვქონდა ეჭვი, რომ ფეხბურთელის ავადმყოფობის ისტორია გადაწერეს და გააყალბეს, რადგანაც ვიზუალურად ჩანდა, რომ ისტორიაზე ერთი ადამიანის ხელმოწერა იყო. დაახლოებით ერთი წლის წინ, როდესაც კლინიკის უფროსი მედდა დაიკითხა, აღიარა, რომ მორიგე ექთნების ნაცვლად ისტორიას ხელი თავად მოაწერა. როცა ადამიანი ამბობს, რომ სხვის ნაცვლად მოაწერა ხელი, ეს ნიშნავს, რომ გაყალბებას აქვს ადგილი, პროკურორი კი ასეთ ადამიანს პასუხისგებაში არ ამყოფებს, რაც კითხვებს აჩენს. ამიტომ, ვაპირებთ მივიდეთ ირაკლი შოთაძის უწყებასთან მოთხოვნით, ნუ აფარებენ ხელს პროკურორები დამნაშავე ადამიანებს. ეს ადამიანი დღეს ისევ კლინიკაში მუშაობს და სავარაუდოდ, იმავეს აკეთებს, რაც გააკეთა ვახო ჩარკვიანთან მიმართებით. ვითხოვთ იმას, რომ ვინც დანაშაული ჩაიდინა, საბრალდებო სკამზე დაჯდეს.

დოკუმენტის გაყალბების მიზანი რა იყო, არ ვიცი, მაგრამ ამ გაყალბებული დოკუმენტითაც კი იკვეთება, რომ კლინიკაში ვახტანგ ჩარკვიანს იმაზე მეტი მორფინი გაუკეთეს, ვიდრე საჭირო იყო. ნორმალურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანიც კი ვერ გაუძლებდა იმას, რასაც ესენი ამ ახალგაზრდას უკეთებდნენ.

ამიტომ ვითხოვთ უფროსი მედდის პასუხისგებაში მიცემას. გამოძიებისას დადგინდება, თუ ვინ, რატომ დაავალა ხელმოწერა სხვის ნაცვლად. ის ჩვენებაში ამბობს, რომ მე არ მევალებოდა ხელმოწერა და მაინც მოვაწერეო, დამირეკეს და მითხრეს, ხელი მოაწერეო, – აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.

ცნობისთვის, 20 წლის ფეხბურთელი ვახტანგ ჩარკვიანი 2021 წლის 10 სექტემბერს „რესპუბლიკურ საავადმყოფოში“ გარდაიცვალა. მას კორონავირუსი ჰქონდა.

აჭარაში რძალი მამამთილმა მოკლა

აჭარაში, სოფელ სალიაურში მოკლული ქალის დეიდა „მთავარ არხთან“ ყვება, რომ მკვლელობაში ბრალდებულს ოჯახის წევრებსა და მეზობლებთან კონფლიქტი წარსულშიც ჰქონდა. მისი ინფორმაციით, ადგილზე პოლიციაც არაერთხელ იმყოფებოდა, თუმცა მათ რეაგირება არ მოუხდენიათ.

– იყო ძალიან მსმელი და პათოლოგი, ეჩხუბებოდა მთელ სოფელს, ოჯახის წევრებს, ყველას. სახლში შემოვიდა გუშინ ეზოდან, შემოვიდა სამზარეულოში... საგიჟეთშიც ჰყავდათ 10 დღე, სულ პოლიცია ამოდიოდა, სულ მეზობლებს აგინებდა, სულ ვეხვეწებოდი, მაგ არანორმალურს მოაშორეთ ეს თოფი-მეთქი, – თქვა ეთერ ბურჭულაძემ.

საზოგადოება

პრემიერი: „ჩვენი გადაწყვეტილებით, ანაკლიის პორტი აშენდება სახელმწიფოს თანამონაწილეობით, სადაც 51%-ის მფლობელი სახელმწიფო იქნება“

– ჩვენი გადაწყვეტილებით, ანაკლიის პორტი აშენდება სახელმწიფოს თანამონაწილეობით, სადაც 51%-ის მფლობელი იქნება სახელმწიფო. დანარჩენზე ჩვენ გამოვაცხადებთ საერთაშორისო კონკურსს და შევარჩევთ პარტნიორებს, პარტნიორ კომპანიებს, ესაა მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც მინდა ვაცნობო ჩვენს საზოგადოებას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

მთავრობის მეთაურმა ანაკლიის პორტში არსებულ ვითარებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2016 წელს ინვესტორთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ ინვესტორის მხრიდან ვალდებულებები არ შესრულდა და პორტი არ აშენდა, რაც არის ძარცვის კლასიკური მაგალითი.

– მეორე საკითხი, რაც მინდა, რომ ვაცნობო საზოგადოებას ეხება ანაკლიის პორტს. ჯერ კიდევ 2016 წელს იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ეს პორტი აშენებულიყო, ეს ყველას კარგად მოგეხსენებათ. მანამდე, ჯერ კიდევ ჩემი პირველი პრემიერობის დროს, ჩვენ ღიად ვსაუბრობდით ყველგან ამ საკითხზე, ყველა ტრიბუნასა და პლატფორმას ვიყენებდით ამისთვის, მათ შორის გაეროს ტრიბუნიდანაც განვაცხადეთ, რომ ჩვენი გაცხადებული ინტერესი და პრიორიტეტი არის ამ პორტის აშენება. 2016 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, შერჩეულ იქნა ინვესტორი, კარგად მოგეხსენებათ ყველას, თუ ვინ არის ეს ე.წ. ინვესტორი, რომელმაც ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, ანუ ეს პორტი არ ააშენა. ამ ვალდებულების მიხედვით, ჩვენ უნდა მიგვეღო პირველი გემები 2020 წელს, თუ არ ვცდები. რამდენჯერმე გადაუწია მთავრობამ ვალდებულება, 3-ჯერ, 4-ჯერ, თუ არ ვცდები და, ამის მიუხედავად, ინვესტორმა მაინც ვერ შეძლო ინვესტიციების მოზიდვა. თავად ბატონ ხაზარაძეს და მის პარტნიორს, ჯაფარიძეს, 3 მლნ დოლარი აქვთ დახარჯული, ჩემი ინფორმაციით, დანარჩენი მოზიდული აქვთ ინვესტორებისგან, 20 თუ 25 მლნ დაახლოებით და ეს არის. სანაცვლოდ, მთავრობისგან ითხოვდა ტვირთების გარანტიას, მიწა ჩვენი იყო და მიწა უნდა გადაგვეცა და გადავეცით კიდევაც, გზების, რკინიგზის მიყვანას, ასეულობით მლნ უნდა დაეხარჯა მთავრობას და სანაცვლოდ არაფერი უნდა მიეღო. ანუ რეალურად ეს იყო საჩუქარი ბატონი ხაზარაძისთვის. მას შემდეგ რაც 4-5 წლის მერე ჩააგდო ეს პროექტი და ვერ განახორციელა, მას შემდეგ გადაწყვიტეს ამ ადამიანებმა, რომ გაძარცვონ ჩვენი ქვეყანა და რატომ. უჩივლეს ქვეყანას, არბიტრაჟში წაიღეს საქმე და დღეს ედავებიან მილიარდ ხუთას მილიონ დოლარს. წარმოგიდგენიათ, რა ხდება? ადამიანმა 5 წელიწადში ვერ შეასრულა ვერცერთი ვალდებულება, ჩააგდო პროექტი, პორტი არ ააშენა და დღეს ჩვენს ქვეყანას და ხალხს ედავება მილიარდ ხუთას მილიონს. ეს არის ძარცვის კლასიკური სქემა და ჩვენ კარგად ვიცით, რა თქმა უნდა, რომ არავითარი რეალური, გულწრფელი, კეთილსინდისიერი მიზანი და ზრახვა ამ პორტის აშენების მიღმა არ იდგა, ეს იყო ჩვეულებრივი გამდიდრებისა და ძარცვის იდეა.

ამიტომ ჩვენ ახლა ამის თაობაზე, გახსოვთ კარგად, რომ რამდენიმე თვის წინ მე დავავალე ეკონომიკის სამინისტროს, მიდის აქტიური მუშაობა, ვამზადებთ ახალ ტენდერს, კონკურსს, მაგრამ მთავარი მინდა გაცნობოთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილებით, ანაკლიის პორტი აშენდება სახელმწიფოს თანამონაწილეობით, სადაც 51%-ის მფლობელი იქნება სახელმწიფო. დანარჩენზე ჩვენ გამოვაცხადებთ საერთაშორისო კონკურსს და შევარჩევთ პარტნიორებს, პარტნიორ კომპანიებს, ესაა მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც მინდა ვაცნობო ჩვენს საზოგადოებას. ეს პროექტი არის მიტოვებული, ადგილი არის გაპარტახებული, კარგად მოგეხსენებათ, ანაკლიაში რაც ხდება ახლა, მტვრის ბუდედ გადააქციეს ეს ადგილი. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი, ჩვენ სასწრაფოდ უნდა შევარჩიოთ ახლა საერთაშორისო პარტნიორი კომპანიები და ჩვენც უნდა დავინყოთ ინვესტირება ამ პროექტში. ეს პროექტი განხორციელდება ჩვენი თანამონაწილეობით, სახელმწიფო განახორციელებს ამ პროექტს. უცხო კომპანიებთან თუ სხვა კომპანიებთან ერთად, ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება, – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ხელისუფლების სურვილია გონიოში ახალი დასახლების შექმნა, რომელიც შესაძლოა გახდეს ფინანსური ცენტრიც.

– გონიოში გვინდა, რომ აშენდეს რეალურად ახალი ქალაქი, შეიძლება იყოს ფინანსური ცენტრიც, გოლფის მოედნები, ვილები და ძალიან მნიშვნელოვანი ახალი დასახლება შეიქმნას გონიოში. თბილისში, თბილისის მერიასთან ერთად ვმუშაობთ ახალ, 2-3 პროექტზე, რომელზეც რამდენიმე კვირაში, მოგვიანებით შევატყობინებთ საზოგადოებას, – აღნიშნა პრემიერმა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, პორტების განვითარება მთავრობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

„პორტების განვითარება არის ჩვენი მთავარი პრიორიტეტი. მოგეხსენებათ, რომ ბათუმის პორტი იმართება უცხოური კომპანიის მიერ. ფოთის პორტშიც განსახორციელებელია დამატებითი ინვესტიციები. მანამდე ერთმა ქართულმა კომპანიამ, პეისმა განახორციელა 100 მილიონი დოლარის ინვესტიცია, განახორციელა ახალი ტერმინალების მშენებლობა და რეალურად, შეძლება ასეც ითქვას, რომ ეს არის პატარა ახალი პორტი. ფოთის პორტის, არსებული პორტის განახლების და გაფართოების იდეა დიდი ხანია უკვე არსებობს, – განაცხადა პრემიერმა

პრემიერის თქმით, ჰესების მშენებლობის პარალელურად, დამატებითი სიმძლავრეების შექმნაზე მუშაობენ:

– ბოლო პერიოდში მივიღეთ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ჰესებთან დაკავშირებით. ჰესები იყო გაჩერებული ბოლო 5 წელია, თუ არ ვცდები, 2017 წლიდან და ჩვენ გვქონდა ამის თაობაზე ძალიან ინტენსიური მოლაპარაკებები საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მივაღწიეთ შემდეგს: დაახლოებით 800 მეგავატი დაგროვილია პროექტები, მემორანდუმები, რომელიც გაეშვება, ამაზე გაფორმებული იყო გამარტივებული შესყიდვის მემორანდუმები, მაგრამ შეჩერებული იყო მთავრობის მხრიდან, ჩემამდე. ეს პროექტები გაეშვება, 800 მეგავატამდე ჰესის ასაშენებლად ალბათ მილიარდზე მეტი დაიხარჯება და, ამას გარდა, წლის ბოლოს, 1500 მეგავატზე გამოვაცხადებთ ტენდერს. ეს არის 2,5 მილიარდი დოლარის პირდაპირი ინვესტიცია, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერის თქმით, ყველა მიმართულებით გვაქვს სერიოზული პროგრესი. ეს განაპირობა ორნიშნა ეკონომიკურმა ზრდამ. რაც მთავარია, ქვეყნის შიდა პროდუქტი, GDP, გაიზარდა თითქმის 30 მილიარდი ლარით ბოლო 2-3 წელიწადში. გაისად მთლიანი შიდა პროდუქტი იქნება 80 მილიარდი ლარი. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ამ ტემპს სჭირდება შენარჩუნება და მეტი აქტიური მუშაობა შემდეგი წლიდან.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, რეგიონებში მნიშვნელოვანი ინვესტიციები ხორციელდება.

პრემიერმა ასევე ისაუბრა პროგრამის „აწარმოე საქართველოს“ შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამის მასშტაბი გაფართოვდება და რეგიონებში ფილიალები შეიქმნება, რათა პროგრამაზე წვდომა ყველა მოქალაქეს შეეძლოს.

რამ შეაშფოთა სტოლტენბერგი?!

რუსეთ-უკრაინის ომი გრძელდება. გენერალმა სუროვიკინმა პუტინისადმი მიცემული პირობა ვერ შეასრულა და ბახმუტი ვერ აიღო. მართალია, დონბასის ამ პატარა ქალაქთან რუსეთმა რჩეული ძალები გადაისროლა (საზღვაო ქვეითები ხერსონიდან, კადიროველები, კერძო სამხედრო კომპანია ვაგნერის ბოევიკები და ა.შ.), მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. რუსების დანაკარგმა ომში უკვე 94.000-ს გადააჭარბა. ამით გაბოროტებულმა რუსებმა უკრაინის ტერიტორიის დაბომბვა გააძლიერეს.

– რუსული რაკეტების 62% ჩვენს ენერგოობიექტებზე იყო დამიზნებული, – თქვა პრეზიდენტმა ზელენსკიმ.

პასუხმაც არ დაახანა. უკრაინელებმა განახორციელეს დარტყმები როგორც ამჟამად ოკუპირებულ უკრაინულ ტერიტორიებზე (დონბასი, ზაპოროჟიეს ოლქი, ყირიმი), აგრეთვე რუსეთზე. დაიბომბა კურსკის, ბელგოროდის ოლქები, როსტოვსჩინა და ა.შ.

– ჩვენს ენერგოობიექტებზე დარტყმებს საკადრისი პასუხი მოჰყვება, – განაცხადა უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა დანილოვმა.

ამრიგად, მოხდა ის, რაც ასე ძალიან არ სურდა ზელენსკის, რასაც ასე გაურბოდა აშშ – უკრაინამ რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმები დაიწყო. ცეცხლში გაეხვია ყაზარმები, ცაში ავარდა სამხედრო აეროდრომები. უკრაინის ენერგოობიექტებზე დარტყმების შემდეგ პრეზიდენტმა ბაიდენმა განაცხადა:

– უკრაინელები უდავოდ მართლები არიან! მათ საქციელს ყველანაირად ვეთანხმები და მხარს ვუჭერ!

პასუხად ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი კონტროლიდან გამოდის.

– რუსეთის ოფიციალური პირები ადრეც იმუქრებოდნენ, უკრაინისათვის იარაღის მიწოდება ჩვენთვის ომის გამოცხადების ტოლფასიაო! თუ რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმები გაგრძელდა, მოსკოვი ნატოს წევრ ქვეყნებს დაარტყამს! ეს კი მესამე მსოფლიო ომს ნიშნავს!

სტოლტენბერგის აზრით, საფრთხე ბევრად უფრო რეალურია, ვიდრე ეს თუნდაც 2-3 კვირის წინ იყო:

– მოსკოვი ომს მართლაც ნაცისტური მეთოდებით აწარმოებს! მოდი და ამის შემდეგ უთხარი უკრაინელ ჯარისკაცს, რომლის დაც რუსმა ოკუპანტებმა გააუპატიურეს, რომლის მეგობრები, ნათესავები, ახლობლები ოკუპანტებმა წამებით დახოცეს, თავი შეიკავეთო! – ამბობს სტოლტენბერგი.

გერმანიის კანცლერი შოლცი სტოლტენბერგს არ ეთანხმება. ის პუტინის სიტყვებს იხსენებს, თუ უკრაინამ ყირიმის ხიდს დაარტყა ან ხერსონი დაიკავა, ბირთვულ იარაღს გამოვიყენებო. როგორც ცნობილია, ასე არ მოხდა.

– უკრაინელებმა ყირიმის ხიდსაც დაარტყეს, ხერსონიც გაათავისუფლეს, მაგრამ მოსკოვმა ბირთვული იარაღის გამოყენება ვერ გაბედა, – თქვა შოლცმა.

მოსკოვმა ბირთვული იარაღი არ გამოიყენა. მიზეზი მარტივი და პროზაულია: ამას, ელემენტარულად, აზრი არა აქვს. პრეზიდენტმა ბაიდენმა ცალსახად განაცხადა, რომ თუნდაც ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენებას ან ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანაზე შეტევას ადეკვატური პასუხი მოჰყვება. ეს კი არ სურს რუსულ ელიტას, რომელმაც მილიარდები იშოვა, არ სურს თავად პუტინსაც, რომელიც ხალხის ხარჯზე გამილიარდერდა. შესაბამისად, რუსეთის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების საფრთხე 1-2%-ია, მაგრამ არა – ნული. ასე რომ, სტოლტენბერგის შეშფოთებაც გასაგებია.

თეთრი სახლი უკრაინისათვის დახმარების ახალ პაკეტს ამზადებს

თეთრი სახლი უკრაინისათვის დახმარების ახალ პაკეტს ამზადებს. ამის თაობაზე იტყობინება რადიოსადგური „ამერიკის ხმა“.

დახმარება უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო სისტემის გაძლიერებისაკენ არის მიმართული.

გერმანია იარაღის მიმოქცევაზე კონტროლს ამძაფრებს

გერმანია იარაღის მიმოქცევაზე კონტროლის გაძლიერებას აპირებს. მიზეზი ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაა. როგორც ცნობილია, ამას სულ ცოტა ხნის წინ ჰქონდა ადგილი.

– მზადდება ახალი კანონი. ის იარაღის მიმოქცევაზე კონტროლის გაძლიერებას ხელს შეუწყობს, – გვამცნობს „დოიჩე ველე“.

ომი დონბასში. ეპიცენტრი უდავოდ ბახმუტ-ავდეევკის მიმართულებაა

უკრაინაში ომი გრძელდება. ყველაზე მწვავე ბრძოლები დონბასშია. ეპიცენტრი უდავოდ ბახმუტ-ავდეევკის მიმართულებაა.

– მტერმა ფრონტის ამ უბანზე დიდი ძალები გადაისროლა, – იტყობინება უკრაინის გენშტაბი.

ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი აცხადებს, რომ რუსეთმა ავდეევკა-ბახმუტის მიმართულებით დიდი ძალები გადაისროლა. მიუხედავად ამისა, უკრაინის შეიარაღებული ძალები მათ წარმატებით უმკლავდებიან. ბახმუტის მიმართულებითაც მტერმა მხოლოდ 300 მეტრით წაიწია წინ.

– როგორც ჩანს, ავდეევკა და ბახმუტი ახალ სტალინგრადად გადაიქცევიან, – აცხადებს ჟდანოვი. ლუგანსჩინაზე უკრაინული არმია კონტრშეტევებს განაგრძობს. კრემენოესთან უკრაინელებმა რუსების კონტრშეტევა მოიგერიეს. აღიკვეთა ოკუპანტების მცდელობა, დაემყარებინათ კონტროლი კრემენოე-სვატოვოს სტრატეგიული მნიშვნელობის ტრასაზე. უკრაინელებმა განახორციელეს სარაკეტო დარტყმები დონბასის ოკუპირებულ ქალაქებზე, მათ შორის დონეცკზე, გორლოვკაზე, სტახანოვკაზე და ა.შ. დონეცკის მთელი ცენტრი განადგურებულია. ყაზარმებს, სადაც რუსი ოკუპანტები იყვნენ განთავსებული, ცეცხლი უკიდია.

– ოკუპანტების რიგებში დიდი დანაკარგებია, – აცხადებს ჟდანოვი.

რუსეთი დღე-ღამეში საშუალოდ 500-600 ჯარისკაცს კარგავს.

უკრაინის ტოტალური დაბომბვები გრძელდება

უკრაინული არმიის წინააღმდეგობამ და უდიდესმა დანაკარგებმა ფრონტზე ოკუპანტები გააბოროტა. უკრაინის ტოტალური დაბომბვა გრძელდება. რუსები მიზანმიმართულად ანადგურებენ უკრაინის კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, კერძოდ, საცხოვრებელ სახლებს, ენერგოობიექტებს, საავადმყოფოებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს.

– უკრაინის ქალაქებში არ არის შუქი, გაზი, წყალი! – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საზოგადოება

თამაზ აქუბარდიას მე-14 წიგნი — ჰეგელის „სამართლის ფილოსოფია“

მეოთხე მოწვევის პარლამენტის დეპუტატის, ეკონომისტის, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის თამაზ აქუბარდიას ავტორობით ბოლო 5 წლის განმავლობაში მე-14 წიგნი გამოიცა.

ამჯერად თამაზ აქუბარდიამ ჰეგელის „სამართლის ფილოსოფია“ თარგმნა.

სამართლისა და ეკონომიკის სპეციალისტები ერთხმად თანხმდებიან, რომ წიგნი გზამკვლევი შეიძლება გახდეს დარგის სპეციალისტებისთვის. დღევანდელ რეალობას თუ რამე აკლია, ეს არის სამართლისა და სამართლიანობის ანალიზის უნარი.

წიგნის პრეზენტაციაზე დამსწრე საზოგადოებამ გამოთქვა სურვილი, რომ შესაბამის ფაკულტეტებზე ერთი სემესტრი მაინც უნდა ისწავლებოდეს სამართლის ჰეგელისეული ფილოსოფია და თამაზ აქუბარდიას წიგნი საამისოდ ნამდვილად ბესტსელერია.

დავით ფოცხიშვილმა ქორეოგრაფიული სპექტაკლი „მგელთა მბრძანებელი“ დადგა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

რაც შეეხება ფილმ „მისტერიას“, ვისაც ძალიან გაინტერესებთ ჩვენი ფილმის მოკლე შინაარსი, შეგიძლიათ, „ლიბრეტოს“ სახით გაეცნოთ. ეს არის მოკლემეტრაჟიანი ქორეოგრაფიული სიურეალისტური ჩანახატი – ფილმი, რომლის ინსპირაციის წყარო გახდა ბიბლიური მითოლოგიური სიუჟეტები. ფილმში გამოყენებულია ქართული ნაციონალური ბალეტის გათანამედროვებული პლასტიკა:

ლიბრეტო: სამყაროს შემოქმედმა თავის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანთა წინაპარნი ადამ და ევა ურჩობისთვის განდევნა სამოთხიდან და მიუჩინა მათ ადგილი სწორედ იმ მაცდური, აკრძალული ხილის ფორმის პლანეტაზე, რომელიც ასე უსასრულოდ, ძაფის გორგალივით ბრუნავს და მისტიკური სიყვარულით იქსოვება სიცოცხლე დედამიწაზე. მითოლოგიური ქალღმერთებიც, მათი ზებუნებრივი ძალის მიუხედავად, მაინც უძლურნი არიან ამ მარადიული გრძნობის – სიყვარულის წინაშე. ღვთის ხატი – ადამიანი, დასჯილი ღვთისგანვე, თავის თავში ხომ მარადისობის მატარებელია. მარადიული სამოთხიდან გამოგორებული „ვაშლი“ კაცობრიობის რეალობაში ერთგვარი „მისტერიაა“. ირღვევა ბიბლიური ნებისყოფა, ღვთის ბრძანება. ისინი ჭამენ ვაშლს და არ კვდებიან.

თითქოს სამოთხეში ყველაფერი ღმერთის სცენარის გარეშე ვითარდება, ზებუნებრივი არ ერევა მათ ყოველდღიურობაში. ხომ შეეძლო, ხელი შეეშალა? ის კი მათ არ ზღუდავს, პირიქით, აძლევს თავისუფალ ნებას, შემდეგ ატოვებინებს სამოთხეს, ართმევს უკვდავებას და სამყაროს ერთ-ერთ პლანეტაზე გამორეკავს. ზოგად, რელიგიიდან გამომდინარე, ჩვენს ყოველდღიურობაში არსებობს აკრძალული ხაზები, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს აკრძალული ხაზები სრულიად საწინააღმდეგო როლს თამაშობს კაცობრიობის განვითარებაში. ის, რაც ერთმანეთს ეწინააღმდეგება, უსასრულო სამყაროში ქმნის სრულიად ალტერნატიულ სივრცეებს, სადაც ჩვეულებრივად იწყებ ახალ სიცოცხლეს. ამაში კი ზებუნებრივი არ გზღუდავს. რამდენჯერაც გადავაბიჯებთ აკრძალულ ხაზებს, იმდენჯერ სრულიად სხვა სამყაროში გარდავისახებით.

ბიბლიური ისტორიის თანახმად, იმის მერე, რაც სამოთხის უკვდავმა ადამიანებმა უარი ვთქვით მარადიულობაზე და არ შევასრულეთ ღმერთის სიტყვა, მაინც სამყაროში დავრჩით, არ გავქრით, უბრალოდ, დაირღვა გვამისა და სულის სიმრთელე და ჩვენი სხეული – ხრწნადად, ხოლო სული უკვდავად იქცა. აწი რაშია ჩვენი სიცოცხლის არსი დედამიწაზე? გორგალი ტრიალებს, იქსოვება სიცოცხლე, ერთს მოსდევს მეორე, მეორეს – მესამე და მრავლდება კაცობრიობა. ვინ იცის, ადამისა და ევას მოდგმა კიდევ რომელ ბიბლიურ ხაზებს დაარღვევს და უსასრულობის რომელ კუნჭულში გარდაისახება ცივილიზაციად. ახლა კი ჩვენზეა, ადამიანებზე დამოკიდებული, თუ რაში მოვიხმართ ამ თავისუფალ ნებას. ვინმემ იცით, სამყაროს ვიზუალური ფორმა როგორია? არსებობს ა და ბე წერტილი? ჩვენ, უბრალოდ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამყარო უსასრულოა.

ჩვენმა ფილმმა „მისტერიამ“ ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწია. კანის კინოფესტივალზე „დაიმახსოვრე მომავალი“ ჩვენმა ფილმმა ორ ნომინაციაში: საუკეთესო ცეკვა და საუკეთესო ქორეოგრაფია – უმაღლესი ჯილდო მოიპოვა. გარკვეული მიზეზების გამო, სამწუხაროდ, ამ ჩვენებას ვერ დავესწარი.

საბერძნეთის მოკლემეტრაჟიანი ფილმების კინოფესტივალზე ჩვენი „მისტერია“ სელექციაშიც მოხვდა და ნახევარფინალშიც.

მსოფლიოში ერთ-ერთი უმაღლესი დონის პრესტიჟულ ქორეოგრაფიულ კინოფესტივალზე ბარსელონაში, სადაც ჟიურიში სხვადან ქორეოგრაფიის მეტრები, ჩვენი ფილმი სელექციაში მოხვდა. ამ ფესტივალში აქამდე არცერთ ქართველ ქორეოგრაფს არ მიუღია მონაწილეობა.

დიდი მადლობა ყველას, ვინც ამ ფილმის შექმნაში წვლილი შეიტანა. ამდენი მოგზაურობის შემდეგ „მისტერიას“ უკვე ქართველი მაყურებელიც ნახავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯალეიდოსკოპი

მეფე კარლოს III-ს ისევ კვერცხები დაუშინეს

დიდი ბრიტანეთის მეფე კარლოს III-ს ქვეშევრდომებთან ურთიერთობის დროს ისევ კვერცხები დაუშინეს. ერთი თვის განმავლობაში უკვე მეორე ასეთი თავდასხმა ბედფორდშირის საგრაფოს ქალაქ ლუტონში მოხდა.

საგრაფოს პოლიციამ დაიკავა მამაკაცი, რომელსაც მონარქისთვის კვერცხის სროლა ჰბრალდება იმ დროს, როდესაც ის ქალაქში სეირნობდა. დაკავებული მამაკაცი დაახლოებით 20 წლისაა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც მეფე კარლოს III მოქალაქეებს ესაუბრებოდა. აღნიშნული ინციდენტის შედეგად ღონისძიება გარკვეული დროით შეწყდა, თუმცა ოდნავ მოგვიანებით მეფემ მოსახლეობასთან შეხვედრა განაახლა.

9 ნოემბერს მეფე კარლოს III-სა და მის მეუღლე კამილას იორკშირის საგრაფოში სტუმრობის დროს კვერცხები დაუშინეს. მამაკაცმა, რომელმაც მონარქს კვერცხები ესროლა, დაკავების წინ დაიძახა: „ეს ქვეყანა მონების სისხლითაა აშენებული!“

მოგვიანებით გაირკვა, რომ თავდამსხმელი 23 წლის სტუდენტი პატრიკ ტელველი იყო. ახალგაზრდა მამაკაცის მტკიცებით, ის პატიმრობიდან იმ პირობით გაათავისუფლეს, რომ მეფეს 500 მეტრზე არ მიუახლოვდება, ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში კვერცხებით არ გამოჩნდება.

ქალმა მოღალატე ბოიფრენდზე შური მამამისისგან დაფეხმძიმებით იძია

ქალმა მოღალატე ბოიფრენდზე შურისძიება გადაწყვიტა და ამის გამო ცოლად მამამისს გაჰყვა. წყვილი ერთმანეთს ოთხი წლის განმავლობაში ხვდებოდა. ქალის თქმით, ისინი სახლის ყიდვასა და ოჯახის შექმნას გეგმავდნენ, მაგრამ ყველაფერი მას შემდეგ შეიცვალა, რაც მან ბოიფრენდს კორპორატიული წვეულების დროს კოლეგასთან მანქანაში სექსის დროს შეუსწრო.

– ისეთმა ემოციებმა შემიპყრო, თუმცა მისთვის არაფერი მითქვამს. წვეულებაზე დავბრუნდი და ისე ვიქცეოდი, თითქოს არაფერი მომხდარა. ეს ყოველდღე მტანჯავდა, – იხსენებს მოტყუებული ქალი. ამ შემთხვევიდან რამდენიმე თვეში წყვილი მამაკაცის მამასთან გადაბარგდა, რათა ამით მისთვის მხარდაჭერა გამოეხატათ მეუღლის გარდაცვალების გამო.

– მე და მამამისს ყოველთვის ახლო ურთიერთობა გვქონდა... მაგრამ შემდეგ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს... მასთან ყოველ ხელსაყრელ მომენტში სექსი მქონდა, – ამბობს ქალი. მან მალევე შეიტყო, რომ ფეხმძიმედ იყო და მოღალატე ბოიფრენდს განუცხადა, რომ ფეხმძიმედ მამამისისგან იყო.

ქალის თქმით, ამ ახალმა ამბავმა მისი ბოიფრენდი შოკში ჩააგდო და მასთან და მამასთან ურთიერთობა გაწყვიტა. ამის მიუხედავად, ქალი თავს დამნაშავედ არ გრძნობს და ახალი ცხოვრებით ხარობს.

– ჩვენ წელს, თებერვალში დავქორწინდით. ორი შვილი გვყავს და მესამის დაბადებას ველოდებით, – განაცხადა ქალმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

სუპერლიგას ორი ლიდერი ჰყავს

დელტა-კავკასია 83:88
(17:25, 22:16, 21:17, 23:30)

სუპერლიგის დებიუტანტმა კავკასიამ დაამტკიცა, რომ ფავორიტებს ტყუილად არ განეკუთვნება და ის 5-მატჩიანი მოგებათა სერია, რითაც სუპერლიგა დაიწყო, სრულიად ლოგიკური იყო. წარმატებული სერიის შემდეგ პირველი მარცხი კავკასიელებმა წინა ტურში, კაკტუსთან განიცადეს, მაგრამ ამჯერად ჩემპიონატის კიდევ ერთ ფავორიტს, 7 მატჩიდან 5 მოგების მქონე გურჯაანის დელტას მოუგეს.

გურჯაანელებს ტრავმირებული ოთო ფხაკაძე დაუბრუნდათ და წინა მატჩში რუსთავში განცდილი მარცხის გამო მოსაგებად იყვნენ შემართულნი. სწორედ ასეთ მოტივირებულ გუნდს სძლია კავკასიამ.

მთლიანობაში თამაში თანაბარი იყო და კავკასიელებმა ბოლო წუთებზე, გადამწყვეტ მომენტში მოახერხეს გამარჯვების მოპოვება. ამაში მათ გუნდური თამაში დაეხმარა. ყველა კალათბურთელი, რომელიც მოედანზე იყო, ბოლომდე იბრძოდა და დაცვაშიც მედგრად ირჯებოდა. ბოლო პერიოდში ილია ლონდარიძის შედეგიანობის წყალობით კავკასიელებმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვეს – 77:70 დასრულებამდე 4 წუთით ადრე.

დარჩენილ დროში კი ისე ითამაშეს, რომ გურჯაანელებს მოგების შანსი არ მისცემიათ. ბექა წივწივაძის გაწვრთნილმა კავკასიამ საბოლოოდ 88:83 გაიმარჯვა და სუპერლიგის ცხრილის სათავეში კაკტუსს (6 მოგება, 1 მარცხი) გაუთანაბრდა.

გამარჯვებულთაგან 15 ქულით, 15 მოხსნითა და 3 ჩაჭრით საუკეთესო იყო აიზია ელისი. ილია ლონდარიძე 21 ქულით ბომბარდირი გახდა. კრის მაკნილის ანგარიშზე 16 ქულა დაგროვდა. დელტაში 23 ქულით რიკარდო ლინჩი გამოირჩა, ეივი ტუმერის ანგარიშზე კი 18 ქულა დაგროვდა.

ოლიმპი-ტიტები 86:85
(16:16, 22:20, 21:30, 27:19)

დავით როგავას გაწვრთნილმა ოლიმპმა ბეწვის ხიდზე გაიარა, მაგრამ სუპერლიგაში ზედიზედ მეხუთე მატჩში – 86:85. ანგარიში თამაშის დაძაბულობის ხარისხზე კარგად მიანიშნებს.

ოლიმპმა მძიმე ბრძოლაში ღირსეულ მეტოქესთან უაღრესად საჭირო მატჩი მოიგო. მართალია, ტიტები სატურნირო მდგომარეობით ვერ დაიკავეს, მაგრამ ამ გუნდს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება შეუძლია და ეს არაერთხელ დაამტკიცა.

მთელი თამაშის განმავლობაში ტიტების კალათბურთელები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ საჩემპიონო ამბიციის მქონე მეტოქეს. ოლიმპს რომ ჩემპიონობა უნდა, ამას ღიად აფიქსირებენ გუნდის ხელმძღვანელები.

ტიტების კარგ თამაში დიდად განაპირობა მათმა ახალწვეულმა გიორგი გოგუამ. ახალგაზრდა კალათბურთელმა, რომელიც ამ მატჩის შემდეგ დიდი ყურადღების ცენტრში იქნება, 7 სამქულიანი ჩააგდო. როცა 204 სანტიმეტრი სიმაღლის კალათბურთელი ამდენ სამიანს აგდებს, ეს მის გუნდს დიდ უპირატესობას და კომფორტს ანიჭებს. ტიტები მთელი თამაშის განმავლობაში ოლიმპს წინააღმდეგობას ძირითადად გოგუას ბონუს-ქულებით უწევდა. მხოლოდ გოგუა რას იზამდა, რიგიანად რომ არ ეთამაშათ ტიტების ლიდერებს – კენდრიკ ტომპსონს, ლუკ მოიერსა და კვენტინ დევისს.

პირველი ნახევრის შემდეგ ოლიმპი 2 ქულით იგებდა, მაგრამ მესამე პერიოდში ტიტების კალათბურთელებმა დიდებულად ითამაშეს და პერიოდის 30:21 მოგებით თავის გუნდს 7-ქულიანი ლიდერობა დაუბევეს. ნათქვამია და ხშირადაც ხდება: ვინც მესამე პერიოდს იგებს, თამაშიც მისი გამარჯვებით მთავრდება. ამჯერად ასე არ მოხდა. ბოლო წამებზე, დაძაბულ და ტოლ-სწორ ბრძოლაში, როცა თამაშის ბედს 1 ზუსტი სროლა წყვეტდა, ლიდერობა ხელიდან ხელში გადადიოდა. მთლიანობაში ლიდერი 12-ჯერ შეიცვალა, 8-ჯერ კი თანაბარი ანგარიში დაფიქსირდა.

დასრულებამდე 2 წუთით ადრე ლუკა ლიკლიკაძემ უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩაადგო და ოლიმპი 85:80 დააწინაურა. დევისმა ორიანით უპასუხა, რის შემდეგაც ლინტონ ესლაისმა ორიდან 1 საჯარიმო ჩააგდო და დასრულებამდე წუთით ადრე ოლიმპი იგებდა – 86:82.

ტიტები არ გატყდა და გოგუამ თავისი მე-7 სამქულიანი ჩააგდო, რითაც ტიტების ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა – 85:86. ლეჟავას გუნდმა მალე დაწინაურების შანსიც მოიპოვა, როცა გივი ბაქრაძემ ოლიმპის შეტევაში სამიანი გააცუდა და ტიტებს შესატევად 15 წამი დარჩა. აკაკი ლომოურის სროლას, რომელიც ტიტების ვეტერანმა კალათბურთელმა ზედ საფინალო სირენის წინ შეასრულა, გიორგი ტურძილაძემ დააფარა და თამაშიც დასრულდა.

ოლიმპში 27 ქულითა და 8 მოხსნით საუკეთესო იყო ლინტონ ესლაისი. დრუ კუქსჰაუსენმა 22 ქულა, 14 მოხსნა და 6 პასი მიითვალა. გივი ბაქრაძემ – 15, ლუკა ლიკლიკაძემ კი 14 ქულა მოაგროვა. ტიტებში 26 ქულითა და 7 მოხსნით საუკეთესო შედეგი გიორგი გოგუამ დააფიქსირა. 23 ქულა დაგროვდა ლუკ მოიერის ანგარიშზე, კვენტინ დევისმა 18 ქულა და 9 მოხსნა მიითვალა.

თსუ-ვერა 105:74
(25:29, 27:8, 31:17, 22:20)

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა უშუალო კონკურენტი დაამარცხა და 2-მატჩიანი უიღბლო სერია, რაც, ამ გუნდის ამბიციიდან გამომდინარე, კატასტროფული შედეგია, შეწყვიტა. თსუ-ს ეროვნული ნაკრების 3 კალათბურთელი ჰყავს და ამბიციებიც, შესაბამისად, მაღალი აქვს. ლექსო ღლაფანაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა სუპერლიგის დაწყების შემდეგ შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებები მოახდინა, რის გამოც წინა მატჩებში წაიფორხილა და ამ ეტაპისთვის ჩვეული ფორმა დაიბრუნა.

უნივერსიტეტელებმა ვერას დამაჯერებლად მოუგეს. თამაშს მესამე პერიოდში სპორტული ინტერესი დაეკარგა, რადგან თსუ-ს ლიდერობამ 30 ქულას გადააჭარბა. არადა, ვერამ მშვენივრად დაიწყო თამაში და პირველ პერიოდში 10 ქულითაც დაწინაურდა. სანამ თსუ-ელები მიზანს გაისწორებდნენ და თამაშს დაალაგებდნენ, ვერელები ლიდერობდნენ. პირველი პერიოდი დავით გასიტაშვილის გაწვრთნილი გუნდის გამარჯვებით დასრულდა – 29:25. თუმცა მეორე ათწუთეულიდან თსუ-ს შტურმი დაიწყო. ბექა ბექაური, მიხეილ ბერიშვილი და გიორგი ცინცაძე შეუჩერებლები იყვნენ და ანგარიშიც განუხრელად თსუ-ს სასარგებლოდ იზრდებოდა. მეორე პერიოდი უნივერსიტეტელებმა 27:8 მოიგეს და დიდ შესვენებაზე 15-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

მესამე პერიოდში თსუ-მ გააგრძელა შედეგიანი თამაში და, როგორც ზემოთ ვახსენეთ, მატჩის ბედი ნაადრევად გადაწყდა. ვერა არ ჰგავდა გუნდს, რომელიც ბოლო პერიოდში 30-ქულიან ჩამორჩენას გააბათილებდა და ასეც მოხდა. საბოლოოდ თსუ-მ 105:74 გაიმარჯვა და ცხრილში 3 მოგებითა და 4 მარცხით მე-6 პოზიციაზე გადაინაცვლა.

თსუ-ში 26 ქულითა და 9 მოხსნით საუკეთესო იყო ბექა ბექაური. მიხეილ ბერიშვილმა 12 ქულა, 11 მოხსნა და 5 ჩაჭრა მიითვალა. გიორგი ცინცაძის ანგარიშზე 16 ქულა დაგროვდა, ნიკოლოზ დარბაიძემ კი 15 ქულა მოაგროვა. ვერაში 19 ქულით საუკეთესო იყო მარტის კიმბრო. 15 ქულა და 10 მოხსნა ჯამირ კოულმენის ანგარიშზეა.

მეგა-ბათუმი 82:81
(21:23, 16:21, 21:22, 24:15)

საკალათბურთო კლუბმა მეგამ ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გუნდს 7 მატჩის მერე მხოლოდ ერთი მოგება ჰქონდა და მეტოქედ მისი კალიბრის – 2 მოგებისა და 4 მარცხის მქონე ბათუმი ჰყავდა. დაძაბულ ბრძოლაში, ბოლო წამებზე, მეგამ გამარჯვება მოიპოვა – 82:81 და ცხრილში მქონე უხეირო მდგომარეობა შედარებით გამოისწორა.

მეგამ აქამდე წაგებული მატჩებიდან თითქმის ყველა ბრძოლაში დათმო. ახლაც წაგებული მატჩების სცენარით მიმდინარეობდა ბათუმთან მატჩიც, მაგრამ საბოლოო შედეგი სხვაგვარი აღმოჩნდა. მეგა ჩამორჩებოდა და თითქმის მთელი თამაში მდევრის როლში იყო. ბოლო წუთებზე ანგარიშის გაბათილება მოახერხა და ამჯერად მოიგო. წინა მატჩებში კი, მეგა ჩამორჩენას რომ აბათილებდა, საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავდა და ამჯერად ნავსის გატეხა მოახერხა.

ეს უმთავრესად დასკვნით წუთებში გააზრებული და პრაგმატული თამაშის შედეგია. ბოლო წუთზე ორივე გუნდს შეეძლო მოგება, მაგრამ საკვანძო მეგას ამერიკელი ლეგიონერის, რონი რუსოს ჩაჭრა გამოდგა, რომელიც მატჩის დასრულებამდე 11 წამით ადრე განახორციელა და სწრაფი შეტევა წარმატებით დააგვირგვინა – 81:78. ბათუმელებმა საპასუხო შეტევაში სამქულიანი ჩააგდეს – თავი დერიკ ნიუტონმა გამოიჩინა და ანგარიში გათანაბრდა. თითქოს ოვერტაიმი გარდაუვალი ჩანდა. თუმცა, დარჩენილ 4 წამში მეგას მოთამაშეებმა ბურთი მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს და ღაშა მიქელაძე მარქუს გილსონზე საფინალო სირენამდე 0.3 წამით ადრე დაჯარიმდა. გილსონმა პირველი ააცილა, მეორე ჩააგდო და მეგას გამარჯვება გაუფორმა.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო სწორედ გილსონი გახლდათ, რომელმაც 19 ქულა, 18 მოხსნა და 5 პასი მოაგროვა. 20 ქულა და 5 პასი როზიეს ანგარიშზეა, 18-18 ქულა ნიკა ჩეჩელაშვილმა და ოთარ ბულიავამ მოაგროვეს. ბათუმელთაგან 27 ქულით საუკეთესო იყო კაილი რიდლი, 19 ქულა, 8 მოხსნა და 5 პასი საბა ლობჯანიძის ანგარიშზეა.

რუსთავი-ქუთაისი 83:85
(23:19, 18:22, 25:21, 17:23)

რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზმა ძალიან საინტერესო მატჩს უმასპინძლა. რეგიონულ დერბიში რუსთავმა ქუთაისს უმასპინძლა და დრამატულ ფინალში 83:85 დამარცხდა.

რონისპირელებს მიმდინარე სეზონში არ ულხინთ. მოქმედმა ჩემპიონმა სუპერლიგაში უკვე 4 მარცხი განიცადა და გუნდის ხელმძღვანელობამ როტაციას მიმართა. გუნდიდან 2 ამერიკელი ლეგიონერი – სტენლი დევისი და კარტერ სკაგსი გაუშვა. სანაცვლოდ ჩამოყვანილ ჩედ ფრეიზერს რუსთავთან დებიუტი ჰქონდა, მაგრამ ქუთაისელთა გამარჯვება გუნდის ქართველ გამთამაშებელს – ეროვნული გუნდის კანდიდატ ლუკა მაზიაშვილს უკავშირდება.

ახალგაზრდა გამთამაშებელმა გამორჩეულად შედეგიანი მატჩი ჩაატარა და ქუთაისელთა გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. თანაბრად მიმდინარე მატჩში თავდაპირველად წინ მასპინძლები იყვნენ, მაგრამ ანგარიშში სხვაობა დიდი არ იყო. პირველი პერიოდის შემდეგ მასპინძლები 23:19 იგებდნენ, ხოლო მეორე ათწუთეული 4 ქულით სტუმრებმა მოიგეს და დიდი შესვენებისთვის ანგარიში გათანაბრდა – 41:41. მესამე პერიოდში რუსთაველებმა ისევ 4 ქულით იმარჯვეს და დაიწყო ბოლო პერიოდი, სადაც ყველაფერი ბოლო წამებზე გადაწყდა.

ლუკა ბულაშვილის 3-ქულიანით რუსთაველები დასრულებამდე წუთი და 10 წამით ადრე 81:80 დაწინაურდნენ. ქუთაისელებმა გიორგი ბარბაქაძის საჯარიმოებით უპასუხეს და ბოლო წუთი ახალი დაწყებული იყო, თანაბარი ანგარიში რომ დაფიქსირდა. რევაზ როგავამ რუსთაველთა შეტევა გააცუდა, აცილებული ლუკა მაზიაშვილმა მოხსნა, რომელმაც საპასუხო შეტევაში, დასრულებამდე 7 წამით ადრე უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩააგდო და ქუთაისი 85:83 დააწინაურა.

მასპინძლებმა დარჩენილ დროში მოახერხეს სროლა, მაგრამ ზურა ვაშაკიძის მომგებიანი სამქულიანი სტუმართა კალათში არ ჩაეშვა...

ქუთაისელთა ლიდერ მაზიაშვილის ანგარიშზე 33 ქულა, 8 მოხსნა და 7 პასი დაგროვდა. გიორგი ბარბაქაძემ 20 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. ჯარვის რეის ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა. დებიუტანტმა ფრეიზერმა მატჩი 5 ქულით დაასრულა. რუსთავში 21 ქულითა და 14 მოხსნით ეივერი დიგსი გამოირჩა. ლუა ბულაშვილის ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა.

სატურნირო ცხრილი:

1.კავკასია	7	6	1	581-531	13
2.კაკტუსი	7	6	1	552-491	13
3.დელტა	8	5	3	643-611	13
4.ოლიმპი	7	5	2	566-544	12
5.რუსთავი	7	4	3	566-549	11
6.თსუ	7	3	4	562-544	10
7.ქუთაისი	7	3	4	576-614	10
8.ვერა	8	2	6	632-688	10
9.მეგა	8	2	6	584-662	10
10.ტიტები	7	2	5	580-590	9
11.ბათუმი	7	2	5	579-597	9

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შავი ლომი ფინალს თბილისში ითამაშებს

რაგბი ევროპის სუპერთასის მფლობელი შავი ლომი ტიტულს 17 დეკემბერს თბილისში, „ავჭალაზე“ ისრაელის თელავივ ჰითთან დაიცავს. ფინალური შეხვედრა 16 საათზე დაიწყება.

პირველმა პროფესიულმა ქართულმა ფრენჩაიზმა სუპერთასის პირველი გათამაშება მოიგო. მაშინ შავმა ლომმა გადამწყვეტ შეხვედრაში პორტუგალიური ლუზიტანული ლისაბონში 17:14 დაამარცხა.

შავმა ლომმა აღმოსავლეთ კონფერენცია წელსაც პირველ ადგილზე დაასრულა, ნახევარფინალში კი ესპანური იბერიანსი უშანსოდ, 41:9 დაამარცხა. ჰითი აღმოსავლეთში მეორე იყო, ნახევარფინალში ლუზიტანუს ლისაბონში ეწვია და 30:22 იმარჯვა, რითაც, ფინალის საგზურთან ერთად, საქართველოში ვიზიტიც „გამოიწერა“.

ისრაელის გუნდი ერთადერთია, რომელსაც წელს შავმა ლომმა ვერ მოუგო. პირველი შეხვედრა ქუთაისში ფრედ 25:25 დასრულდა, განმეორებით მატჩში კი გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ – 24:18. ახლა ჩვენს გუნდს რევანშის შანსი ეძლევა, თანაც უფრო წონად მატჩში, რომლის შედეგმა თასის მფლობელი უნდა გამოავლინოს.

თორნიკე გოგებაშვილი, რაგბის კავშირის აღმასრულებელი დირექტორი:

– მოუთმენლად ველოდებოდით ლისაბონში მიმდინარე მატჩის დასრულებას, რადგან სწორედ მისი შედეგი წყვეტდა, სად გაიმართებოდა რაგბი ევროპის სუპერთასის მეორე გათამაშების ფინალი. ჩვენთვის დიდი პატივია გადამწყვეტი შეხვედრის თბილისში მასპინძლობა. ეს არის შესაძლებლობა გულშემატკივრისთვის, პირადად დაესწროს წლის ბოლო საერთაშორისო შეხვედრას და უქომაგოს გუნდს, რომლის ბირთვს ის ბიჭები შეადგენენ, რომლებმაც ცოტა ხნის წინ უელსში ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს და უდიდესი სიხარული მიანიჭეს ჩვენს ხალხს.

ფინალში კარგი თამაში გველოდება, რადგან ჰითი ის ერთადერთი გუნდია, რომლის დამარცხება შავმა ლომმა სუპერთასის წლევანდელ გათამაშებაში ვერ მოახერხა და ამ დიდ ბრძოლაში ბიჭებს აუცილებლად დასჭირდებათ ქომაგის მხარდაჭერა.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. მწყრის ბარტყი; 2. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 3. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 4. სახელმწიფო აფრიკის სამხრეთში; 8. შენობის საყრდენი კოლონა ქალის ქანდაკებით; 9. ვარსკვლავთა მთლიანი სისტემა; 11. პარიზის ძველი სახელწოდება; 12. საესტრადო მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 14. ჭადრაკის ფიგურა; 16. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 17. წითელი ფერის მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 19. მოთელილი მატყლისგან დამზადებული თბილი მოსასხამი; 21. ხურდა ფული ბრიტანეთში.

თარაზულად: 5. სერბი ჩოგბურთელი მამაკაცი; 6. ცხოველთა და მცენარეთა ჯიშების გაუმჯობესება ხელოვნური შერჩევით, შეჯვარებით; 7. ძუნწი, ხელმომჭირნე ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 10. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 13. ქალაქი კახეთში; 15. თეთრი ბოჭკოვანი მინერალი, საიზოლაციო მასალა; 18. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 20. საფრანგეთში წარმოშობილი არქიტექტურული დეკორატიული სტილი; 22. მაღალხარისხოვანი დეკორატიული მინის წარმოების ცენტრი ჩეხეთში; 23. გზაგამტარი ნაგებობა; 24. ქართველი მოფარიკავე, ოლიმპიური ჩემპიონი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაჩანა; 2. იანუსი; 3. რიეკა; 5. ბანი; 6. ქართლი; 8. კიანტი; 11. რქაწითელი; 13. სტუპორი; 14. ელიოსი; 15. ჰამლეტი; 19. პერი.

თარაზულად: 1. ბუდვაიზერი; 4. თამბაქო; 7. ჩაპლინი; 9. კალიბრი; 10. თრუსო; 12. კანცლერი; 16. ვიბრაცია; 17. მუხიანი; 18. ბიდსტრუპი; 20. ლაკმუსი; 21. კილი; 22. სერფინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლოკალი; 2. ყანჩელი; 3. რიგოლეტო; 4. ინსბრუკი; 8. კოლექტორი; 9. ბანდერასი; 11. როლექსი; 12. შუნი; 14. ჟიგა; 16. ყაბალახი; 17. ლანჩხუთი; 19. ბურახი; 21. ოდესა.

თარაზულად: 5. რიტორიკა; 6. ინსულინი; 7. ველასკესი; 10. ბეზოსი; 13. სუნაკი; 15. ინჟენიუ; 18. ნაბობი; 20. ნისანი; 22. ბურგუნდია; 23. ახალციხე; 24. ესპანეთი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

13 დეკემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6773

ევრო — 2.8283

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2899

100 რუსული რუბლი — 4.2707

ამინდის პროგნოზი 13 დეკემბრისათვის



2018311219682

მესი: „ყველამ ერთად ისტორია უნდა დავწეროთ“



არგენტინის ნაკრები სამშაბათს მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ხორვატიას დაუპირისპირდება და მესიმ უკვე ისაუბრა მატჩის რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე. მისი აზრით, არგენტინა ისეთი ერთიანი უნდა იყოს, როგორც არასდროს: „ჩვენ გვაქვს შანსი და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. როდესაც ნახევარფინალში თამაშობ, შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვს. მინდა, ყველამ ერთად ვაჩვენოთ მსოფლიოს, რომ გამარჯვებას ვიმსახურებთ“.

მოდრიჩი: „არგენტინის არ გვეშინია“



ხორვატიის ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა და კაპიტანმა ლუკა მოდრიჩმა არგენტინასთან დაპირისპირებაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს მეტოქის არ ეშინია და ისინი საბრძოლველად მზად არიან: „ჩვენ თითქმის შეუძლებელი შევძელით და უკვე ვერაფერი შეგვაშინებს. მინდა, გულშემატკივარი გავახაროთ და სამშაბათს მოედანზე თავს არ დავზოგავთ“.

მანუელ ნოიერი, დიდი ალბათობით, სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს

მიუნხენის ბაიერნისა და გერმანიის ნაკრების მეკარე მანუელ ნოიერმა თხილამურებით სრიალის დროს ფეხი მოიტეხა და, დიდი ალბათობით, ის სეზონის ბოლომდე გუნდს ვერ დაეხმარება. ნოიერმა ოპერაცია გაიკეთა და ამჟამად თავს კარგად გრძნობს, თუმცა სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ბაიერნს დიდი ხნის განმავლობაში ვერ დაეხმარება. შეგახსენებთ, ნოიერი და გერმანიის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატს ჯგუფურ ეტაპზე გამოეთიშნენ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქალმა ბოიფრენდი დაბადების დღეზე დაგვიანებისთვის დანით დაჭრა

ინდოეთში ქალმა კინაღამ მეგობარი მამაკაცი მოკლა მას შემდეგ, რაც ის მის დაბადების დღეზე დაგვიანებით მივიდა.

წყვილის ურთიერთობა უკვე ნახევარ წელიწადზე მეტხანს გრძელდებოდა. ქალმა გადაწყვიტა, საკუთარი დაბადების დღე პარტნიორთან ერთად აღენიშნა.

შეყვარებულები რესტორანში შეხვედრას გეგმავდნენ, მაგრამ მამაკაცი ადგილზე დროზე არ მივიდა. მან ორი საათი დააგვიანა, ხოლო როდესაც მივიდა, ნასვამი აღმოჩნდა. ამ ყოველივეს წყვილს შორის შეკამათება მოჰყვა და გაბრაზებულმა მამაკაცმა ქალს ხელი გაარტყა. ამის საპასუხოდ ქალმა ხელსაქმისთვის განკუთვნილი დანა აიღო და ბოიფრენდს ყელის არეში ატაკა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. მისი განცხადების საფუძველზე ქალის წინააღმდეგ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

13 დეკემბრისათვის



ვერძი – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტი არ აგცდებათ. **კურო** – დღის დევიზია სულიერი წონასწორობა, სიმშვიდე და ერთგულება. რისკი გაუმართლებელია. **ტყუპები** – ერიდეთ კონფლიქტს პირად ცხოვრებაში. დღეს დამთმობი და დიდსულოვანი უნდა იყოთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით და, საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტი არ გადადოთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი აღმავლობის დღეა. რეალობას რომანტიკულად აღიქვამთ. წარმატება თავდაჯერებულობას შეგმატებთ. **ლომი** – ის საქმე, რომელიც ადრე რთული გეჩვენებოდათ, დღეს ძალზე გაგიიოლდებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **ქალწული** – სასიცოცხლო პოტენციალი გიქვეითდებათ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. მიიღეთ ბევრი ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** – საკუთარი პრინციპები მტკიცედ დაიცავით. თქვენი ავტორიტეტის შელახვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **ღრიანცელი** – ბიზნესის სფეროში მომუშავეებისთვის იღბლიანი პერიოდია. სწორი გადაწყვეტილების მიღებაში თანამოაზრეები დაგეხმარებიან. **მშვილდოსანი** – ფულს უაზროდ ნუ გაფლანგავთ. არასაჭირო შენაძენისგან თავი შეიკავეთ. იყავით მიზანდასახული და დამოუკიდებელი. **თხის რქა** – მეგობრებთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში კონფლიქტს ელოდეთ. **მერწყული** – თამამად და პრინციპულად იმოქმედეთ. არაკეთილისმსურველებს მხოლოდ ასე განაიარაღებთ. **თევზები** – სასიყვარულო ურთიერთობებში გიმართლებთ. მატერიალური მდგომარეობა არასახარბიელოა. საყიდლებზე წასვლა, ფულის დაბანდება სამომავლოდ გადადეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ტელეფონის ზარი:

– ალო, მიმღები კომისიაა?

– დიახ.

– შეგიძლიათ, მითხრათ, რა მაქვს მიღებული?

•••

მამა კვდება და, ოჯახის ტრადიციის თანახმად, ყველაფერი თავის ყველაზე ზარმაც შვილს უნდა დაუტოვოს. ის მისუსტებული ხმით უფროს შვილს უხმობს:

– შვილო, თემო, მოდი ჩემთან.

უფროსი შვილი მივიდა.

– შვილო, წარმოიდგინე, რომ ზიხარ და ამ დროს ქარს 200-ლარიანი მოაქვს. როგორ მოიქცევი?

– ადგილიდან არ დავიძვრები. თავი ზედმეტად რატომ უნდა გადავიტვირთო?

– კარგი ნათქვამია, შვილო, შეგიძლია, წახვიდე.

ახლა შუათანას უხმობს თავისთან და ეუბნება:

– გივი, შვილო, მოდი ჩემთან, წარმოიდგინე, რომ ვნებიანი ულამაზესი გოგონა ხელებს იწვდის შენკენ, თავისთან გიხმობს. როგორ მოიქცევი?

– ადგილიდან არ დავიძვრები. თავი ზედმეტად რატომ უნდა გადავიტვირთო?

– ოქროს სიტყვებია, შვილო, შეგიძლია, წახვიდე.

მამა მესამე შვილს უხმობს თავისთან:

– გოგი, შვილო, მომიახლოვდი.

– შენ თვითონ მომიახლოვდი.

•••

მამა შვილს ეკითხება:

– შვილო, სკოლაში ბევრი დავალება მოგცეს?

– არც ისე ბევრი, ასე, 150 ლარის.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მარკუს მეტრეველი დუბაის მოდის კვირეულში მონაწილეობს

15-19 დეკემბერს დუბაიში საერთაშორისო მოდის კვირეული გაიმართება. მასში მონაწილეობას მომღერალი მარკუს მეტრეველი მიიღებს.

მარკუსი ოფიციალური მიწვევით ქართულ ბრენდ „ხათკოს“ წარადგენს. ბრენდი დუბაის საერთაშორისო მოდის კვირეულზე უახლესი კოლექციით მიიღებს მონაწილეობას.

დავით არჩვაძე კლიპის პრემიერას გამართავს

16 დეკემბერს ვახტანგ სალარიძის საკონცერტო დარბაზში დავით არჩვაძე საავტორო კონცერტსა და კლიპის პრემიერას გამართავს.

მომღერალმა თავისი აქტიური მოღვაწეობით სულ მცირე დროში შეაყვარა თავი ფართო აუდიტორიას. მის მიერ შექმნილი არაერთი ცნობილი სიმღერა დღემდე განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. დავით არჩვაძემ დააფუძნა ანსამბლი „მოძახილი“, ხელმძღვანელობს „თბილისურ კვარტეტსა“ და „თეატრალურ კვარტეტს“.

კომპოზიტორისა და მომღერლის საავტორო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: თეატრალური კვარტეტი, კვარტეტი „ჰანგები“ და „თბილისური კვარტეტი“, დავით არჩვაძის საესტრადო კაპელა, მაგდა ნიკოლეიშვილი, გელა დონაძე და ანუკი ცქვიტინიძე, მერაბ ვარდოსანიძე, ბექა ჩხაიძე, ნეკა სეფისკვერაძე, ლიზა ჩიჩუა, ნიკოლოზ ხარატი, დავით კიკაბიძე, ლაშა ღლონტი, მარიკა ქაცარავა, ლელა თელია, დავით არჩვაძის სტუდია „მოძახილი“.

მაყურებლისთვის აუღერდება როგორც ახალი, ასევე კარგად ნაცნობი სიმღერები.

ოთარ იოსელიანი დააჯილდოვეს

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალმა ოთარ იოსელიანი დააჯილდოვა. მას კინოფესტივალის საპატიო ჯილდო – „საპატიო პრომეთე“ გადაეცა. კინოთეატრ „ამირანში“ კი ოთარ იოსელიანის ფილმი „გიორგობისთვე“ აჩვენეს.

ოთარ იოსელიანი ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ქართველი რეჟისორია, რომლის კარიერაც მოიცავს მოღვაწეობას საქართველოსა და საფრანგეთში. სანამ კინემატოგრაფიის ინსტიტუტში ჩაბარებდა და ალექსანდრ დოვჟენკოსა და მიხეილ ჭიაურელის მოსწავლე იქნებოდა, მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია და სწავლობდა მათემატიკას, რამაც გავლენა მოახდინა მის კინოხედვაზე, კინოგრძნობასა და სტილზე. ის თავდაპირველად მუშაობდა მემონტაჟედ და შემდეგ იღებდა მოკლემეტრაჟიან მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებს. სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმი „გიორგობისთვე“ გადაიღო 1966 წელს, რომლის პრემიერაც შედგა 2 წლის შემდეგ კანის კინოფესტივალის „კრიტიკოსთა კვირის“ სექციაში და დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით. მისი შემდეგი ფილმები „იყო შაშვი მგალობელი“ და „პასტორალი“ ისეთივე უნიკალური იყო სტილითა და ფორმით დოკუმენტურსა და მხატვრულ კინოს შორის, თუმცა საბჭოთა კავშირიდან მათი საზღვარგარეთ გატანა წლების განმავლობაში იბლოკებოდა. გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ოთარ იოსელიანი საცხოვრებლად საფრანგეთში გადავიდა და კინოკარიერა იქ განაგრძო. მისი პირველი ფრანგული ფილმი „მთვარის ფავორიტები“ ვენეციის კინოფესტივალზე ჟიურის სპეციალური პრიზის მფლობელი გახდა და მას შემდეგ ვენეციაში უჩვენებდნენ მის შემდეგ ფილმებსაც.

2002 წელს ოთარ იოსელიანმა მიიღო ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის „ვერცხლის დათვი“ საუკეთესო რეჟისურაში ფილმისთვის „ორშაბათი დილა“. მისი ფილმი „შანტრაპა“ იყოს საქართველოს ოფიციალური კანდიდატი „ოსკარის“ საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

დავით ფოცხიშვილმა ქორეოგრაფიული სპექტაკლი „მგელთა მბრძანებელი“ დადგა

ქორეოგრაფმა დავით ფოცხიშვილმა ერთმოქმედებიანი ქორეოგრაფიული სპექტაკლი „მამბერი – მგელთა მბრძანებელი“ დადგა. მისი პრემიერა გრიბოედოვის თეატრში 17 დეკემბერს გაიმართება. ახალ სპექტაკლთან ერთად, შედგება მოკლემეტრაჟიანი ქორეოგრაფიული ფილმის „მისტერიის“ პრემიერა.

ქორეოგრაფიულ სპექტაკლში მონაწილეობენ ფოცხიშვილების ნაციონალური ბალეტის სოლისტები და ბავშვთა ნაციონალური ბალეტი „პატარა ვარსკვლავები“.

ფანტასმაგორიის ჟანრის სპექტაკლში გამოყენებულია ქართული ტრადიციული ქორეოგრაფიის, ასევე კლასიკური ცეკვისა და თანამედროვე პლასტიკის ელემენტები.

სპექტაკლში გამოყენებული მელოდიების ავტორები არიან ვახტანგ კახიძე, სამი იუსუფი, ქართული ტრადიციული მუსიკის გოგონათა ანსამბლი „იალონი“ – ნანილ დედიკოი, მარკ კორვენი, „სანო სტუდია“ – გოგი ხარაბაძის რეჩიტატივი.

დავით ფოცხიშვილი:

– ვფიქრობ, ძალიან მაგრად გაძღებით დრამატურგიული ხაზითა და პოსტმოდერნისტული თუ თანამედროვე ქართული ფოლკლორის ჩანახატებით. დარწმუნებული ვარ, პრემიერის დღე არასოდეს დაგავიწყდებათ. პრემიერის შემდეგ დაგეგმილი გვაქვს „მამბერის“ კინოპროექტი. ამ ქორეოგრაფიულ სპექტაკლს ჩვენი დიდი ოჯახი, რომელსაც ჰქვია „ფოცხიშვილების ნაციონალური ბალეტი“, ვუძღვნით გელოდი ფოცხიშვილს. რამ გამამწარა, არ ვიცი და ვერ გეტყვით. უამრავი მელოდია შევქმენი ამ სპექტაკლისთვის. შემდეგ ეს ყველაფერი შეკრა და არანჟირება გაუკეთა ჩემმა ძმამ და უნიჭიერესმა მუსიკოსმა ემზარ შარვაშიძემ. თვეები ვიმუშავეთ მე და გიორგი ალიმბარაშვილმა ლიბრეტოზე. გიორგი ერთადერთი ადამიანია, რომლის აზრსაც ნამდვილად ვითვალისწინებ.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ბრიტანული ფარმაცევტული კომპანია; 2. დიპლომატიური კურიერის სპეციალური დალუქული ჩანთა; 3. ფეთქებადი ჭურვი; 5. დემონი არაბულ ფოლკლორში; 6. ბელგიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 8. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 13. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 14. სიბრძნის, ხელოვნების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 15. მთიანეთი აზიაში; 19. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე.

თარაზულად: 1. შაქრით, სუნელებით შეზავებული ცხელი წითელი ღვინისგან მომზადებული სასმელი; 4. საოქრომჭედლო ყალიბი; 7. პოპულარული ნიდერლანდური ლუდი; 9. რიგითი მეზღვაური; 10. პატარა ხის სახლი ჩინეთში; 12. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 16. მდგომარეობა ჭიდაობაში; 17. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაკტუსის ერთ-ერთი სახეობა; 18. სხვისი კეთილდღეობისთვის უანგაროდ მზრუნველი ადამიანი; 20. დაბალი რანგის დიპლომატი; 21. თვალ-მარგალიტით შემკული თავსამკაული; 22. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა